ბრძანება N 04/216

216-01-4-202112271509

27/12/2021

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 26 ივლისის №04/100 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-6 მუხლის შესაბამისად, სააგენტომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს მოკვლევის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი - „გადაწყვეტილება საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 26 ივლისის №04/100 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე“ - თანდართული ფორმით.

2. არ დადასტურდეს „შპს „საქაერონავიგაციის“ (ს/ნ 208144051) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების დარღვევა.

3. შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით, შპს „საქაერონავიგაციას“ მიეცეს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია.

4. დამტკიცებული გადაწყვეტილება გადაეგზავნოს როგორც მომჩივან, ასევე მოპასუხე მხარეს.

5. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვით.

6. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

7. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: მოკვლევის ჯგუფის 2021 წლის 24 დეკემბრის N03/293 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე

გადაწყვეტილება

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 26 ივლისის №04/100 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე

სარჩევი

თავი I. აღწერილობითი ნაწილი 4

ნაწილი 1. მომჩივანის პოზიცია 4

ნაწილი 2. მოპასუხის პოზიცია 6

ნაწილი 3. ადმინისტრაციული ორგანოებისაგან მიღებული ინფორმაცია 7

3.1. სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო 8

3.2. სსიპ -- საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური 9

3.3. სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო 10

თავი II. ნორმატიული რეგულირება 10

ნაწილი 1. კონკურენციის კანონმდებლობის მატერიალური ნაწილი 10

ნაწილი 2. კონკურენციის კანონმდებლობის პროცედურული ნაწილი 11

ნაწილი 3. დაზღვევის კანონმდებლობა 12

3.1. მზღვეველისა და სადაზღვევო ბროკერის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფა 15

3.2. სადაზღვევო ბროკერის მიერ საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპისთვის კაპიტალის/საგარანტიო ფონდის მინიმალური ოდენობა 16

3.3. სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის წესი 16

3.4. სადაზღვევო ლიმიტი და სადაზღვევო ანაზღაურება 17

3.5. მზღვეველის მიერ აღებულ ნეტო ვალდებულებებსა და საზედამხედველო კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობა 18

ნაწილი 4. შესყიდვების კანონმდებლობა 19

4.1. შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნება 19

4.2. ელექტრონული ტენდერის ვადები 21

ნაწილი 5. შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ (CAA-A) 22

თავი III. შესაბამისი ბაზარი და მასზე მოქმედი სუბიექტები 25

ნაწილი 1. შესაბამისი ბაზარი 25

1.1. სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები 25

1.2. სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები 26

1.3. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო 26

ნაწილი 2. შესაბამის ბაზარზე მოქმედი და დაკავშირებული სუბიექტები 27

2.1. სადაზღვევო კომპანიები 27

2.2. საბროკერო კომპანიები 33
თავი IV. სამოტივაციო ნაწილი 38
ნაწილი 1. შესავალი 38
ნაწილი 2. სააგენტოს შეფასება 40
ა) მოპასუხე, როგორც კანონის მე-10 მუხლის სუბიექტი 41
ბ) ქმედება 46
ნაწილი 3. დასკვნა 63
თავი V. სარეზოლუციო ნაწილი 66
რეკომენდაცია 67

თავი I. აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 26 ივლისის №04/100 ბრძანების შესაბამისად, საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომში - „სააგენტო“, „კონკურენციის სააგენტო“) დაიწყო მოკვლევა შპს „საქაერონავიგაციის“ (ს/ნ 208144051) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. მოკვლევის დაწყებას საფუძვლად დაედო სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის“ (ს/ნ 204426674) მიერ 2021 წლის 8 ივნისს სააგენტოში წარმოდგენილი დაზუსტებული საჩივარი (რეგ. N01/860), რომლის ფარგლებშიც, მომჩივანი ეკონომიკური აგენტი აპელირებდა შპს „საქაერონავიგაციის“ მხრიდან აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის პროცესში განხორციელებულ სავარაუდო კონკურენციის შემზღუდველ ქმედებებზე.

საქმის მოკვლევის პროცესში შესაბამისი ინფორმაცია იქნა გამოთხოვილი სადაზღვევო და საბროკერო კომპანიებისგან, სხვადასხვა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსგან (ასევე გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები). ახსნა-განმარტებები ჩამოერთვა როგორც მომჩივანს[1], ასევე, მოპასუხეს[2]. საქმის მოკვლევის დასასრულს მოხდა გადაწყვეტილების პროექტის მხარეთათვის წარდგენა[3] და გაიმართა შემაჯამებელი სხდომა[4].

ნაწილი 1. მომჩივანის პოზიცია

მომჩივანის პოზიციით[5], შპს „საქაერონავიგაციამ“ 2021 წლის 6 მაისს გამოაცხადა აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერი (NAT210008212) სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის, ქონების, თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის მომსახურებების შესყიდვის მიზნით.

მომჩივანი სადავოდ ხდის შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ სატენდერო დოკუმენტაციაში ჩადებულ პირობას, რომელიც პრეტენდენტს ავალდებულებს, წარმოადგინოს ინფორმაცია სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის სადაზღვევო რისკის 100%-ით გადაზღვევის შესახებ, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს უშუალოდ გადამზღვეველი კომპანი(ებ)ის მიერ (ბროკერის წერილი არ მიიღება). ამასთან, მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტები პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს ელექტრონული ტენდერის „წინადადების მიღება დაწყებულია“ ეტაპზე.

---

[1] სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის“ 2021 წლის 21 ოქტომბრის ახსნა-განმარტის ოქმი N1

[2] შპს “საქაერონავიგაციასთან“ 2021 წლის 21 ოქტომბერს ჩატარებული ახსნა-განმარტების ოქმი N2

[3] სააგენტოს 2021 წლის 15 ნოემბრის N02/587-N02/588 წერილები

[4] 2021 წლის 24 დეკემბერს გამართული შემაჯამებელი სხდომის ოქმი N1

[5] 2021 წლის 8 ივნისის N01/860 დაზუსტებული საჩივარი

მომჩივანის პოზიციით, წინასწარ ხელმოწერილი სლიპების მოთხოვნა ხელოვნურად ზღუდავს კონკურენციას. ამასთან, ამ სფეროში ოპერირებადი ბევრი გადამზღვეველი ერიდება წინასწარ ასეთი დოკუმენტის გაცემას. ვინაიდან საჰაერო რისკების გადაზღვევის ბაზარი სპეციფიკურია, ბევრი გადამზღვეველი, უმეტეს შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანიებთან თანამშრომლობს მხოლოდ შუამავალი ბროკერების მეშვეობით, რომლებიც აკრედიტირებული არიან გაერთიანებული სამეფოს ფინანსური მარეგულირებლის მიერ (FCA).

მომჩივანის პოზიციით, გადამზღვევი ბროკერის მიერ მოწოდებული წინასწარი თანხმობა და კონფირმაცია, რომ იგი ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში მოახდენს კონკრეტული რისკის გადაზღვევას სხვადასხვა გადამზღვეველ ორგანიზაციებში, უნდა იყოს მიჩნეული დამაკმაყოფილებელ ფაქტორად შემსყიდველი ორგანიზაციისთვის. ხოლო, გადაზღვევის სლიპის არსებობა შესაძლებელია, მოთხოვნილი იყოს ტენდერის ჩატარებისა და გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ. მომჩივანი, სააგენტოში წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის თანახმად,[6] ასევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სპეციფიური რისკების გადაზღვევის ბაზარზე არსებობს მხოლოდ რამოდენიმე გადამზღვეველი კომპანია, რომლებიც დაინტერესებული არიან კონკრეტული სახეობის რისკით. ასეთ შემთხვევაში კი, ბაზრის თავისებურების გათვალისწინებით, თუ გადამზღვეველი თანამშრომლობს ერთ კონკრეტულ ბროკერთან და მის უკან მდგარ პრეტენდენტთან, ის ერიდება სხვა კომპანიებთან თანამშრომლობას. თავის მხრივ, ეს შეზღუდვა აღარ იმოქმედებს მას შემდეგ, რაც პრეტენდენტი უკვე გაიმარჯვებს ტენდერში.

მომჩივანის პოზიციით, მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია ერთი ტენდერის ფარგლებში პრინციპულად სხვადასხვა სახის სადაზღვევო მომსახურებების შესყიდვა (სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ქონების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა) მათი ერთ ლოტად გაერთიანების გზით. ამასთან, აღნიშნული მომსახურებები საჭიროებს სხვადასხვა სახის ლიცენზიას (სიცოცხლის/არასიცოცხლის).[7]

მომჩივანი მიუთითებს, რომ მოპასუხე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოცხადებულ სახელმწიფო ტენდერებში მუდმივად აერთიანებს სხვადასხვა სახის სადაზღვევო მომსახურებებს და ამასთან ერთ-ერთ კონკრეტულ სახეობაში (სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაზღვევა) შესყიდვის ნაწილში დისკრიმინაციული და გაუმართლებელი მოთხოვნების დაწესებით გარდაუვალს ხდის, ყოველგვარი კონკურენციის გარეშე, ერთი და იგივე პრედენდენტთან - სს „სადაზღვევო კომპანია უნისონთან“ ხელშეკრულების დადებას.

---

[6] სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის“ 2021 წლის 6 ივლისის N01/1054 წერილი

[7] 2021 წლის 8 ივნისის N01/860 დაზუსტებული საჩივარი

ნაწილი 2. მოპასუხის პოზიცია

შპს „საქაერონავიგაციის“ განმარტებით[8] 2014 წლის 1 იანვრიდან საქართველო გახდა საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ევროპული ორგანიზაციის - „ევროკონტროლის“ მე-40 წევრი ქვეყანა. ევროკონტროლში გაწევრიანების შემდგომ, მათი რეკომენდაციის საფუძველზე, დღის წესრიგში დადგა საქაერონავიგაციის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის საკითხი. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში ასეთი დაზღვევა არასდროს განხორციელებულა, არ არსებობდა გამოცდილება და დაზღვევის საგანი იყო საკმაოდ სპეციფიკური, კომპანიამ ტექნიკური დავალება მოამზადა ევროკონტროლის სპეციალისტების აქტიური მონაწილეობით, მათი რეკომენდაციებისა და დასავლური ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხეს, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არ ჰქონდა უფლება პირდაპირ უცხოური სადაზღვევო კომპანიებისგან შეესყიდა მომსახურება, ხოლო, საქართველოს ბაზარზე მოქმედი სადაზღვევო კომპანიები ვერ აიღებდნენ ფინანსურ პასუხისმგებლობას, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ნაწილში - რისკის მოცულობის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, მომსახურების შესყიდვა განხორციელებულიყო იმგვარად, რომ ქართული სადაზღვევო კომპანიის გავლით, ასი პროცენტით გადაზღვეულიყო რისკი (ერთ გადამზღვეველთან შესაძლებელია არაუმეტეს 50%-ის გადაზღვევა). ამასთან, მოპასუხე, მის მიერ წარმოდგენილ დამატებით პოზიციაში[9] ასევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შპს „საქაერონავიგაციის“ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრირების პროცესის ერთ-ერთი კომპონენტია.

მოპასუხის პოზიციით, სადაზღვევო კომპანიებს ტენდერის გამოცხადებისას მიეცათ საკმარისი დრო - 30 დღე, რათა ტენდერის „წინადადების მიღება დაწყებულია“ ეტაპისთვის შეერჩიათ, მოლაპარაკებოდნენ და მიეღოთ მოთხოვნილი წერილი გადამზღვეველი კომპანიისგან. გადამზღვეველის წინასწარი თანხმობის წერილები არის მიღებული და გავრცელებული პრაქტიკა ასეთი დაზღვევების დროს, რადგან შემსყიდველი ტენდერის შერჩევა-შეფასების ეტაპისთვის ხედავს, რომ გადამზღვეველი ინფორმირებულია სატენდერო პირობების შესახებ და აცხადებს თანხმობას აღნიშნული პირობებით გადაზღვევაზე.[10]

მოპასუხის პოზიციის თანახმად, ბროკერი უშუალოდ არ ახორციელებს გადაზღვევას და მას მხოლოდ შუამავლის ფუნქცია ენიჭება. შუამავალი, რომელიც არ არის დამზღვევი, სხვა პირის ნაცვლად ვერ გასცემს მყარ გარანტიას, რომ ნამდვილად განახორციელებს გადაზღვევას იმ კომპანიებში, რომლებიც, რეიტინგითა და სხვა პირობებით უნდა აკმაყოფილებდნენ შემსყიდველის მოთხოვნებს. არსებობს დიდი ალბათობა და შესაძლებლობა, რომ მივიღოთ დაკარგული დრო და ჩაშლილი ტენდერი. ამასთან, მოპასუხემ მიუთითა, რომ მას წარსულში უკვე ჰქონდა გამოცდილება, როდესაც ერთ-ერთმა პრეტენდენტმა წარადგინა საბროკერო

---

[8] შპს „საქაერონავიგაციის“ 2021 წლის 24 ივნისის N01/995 წერილი
[9] შპს „საქაერონავიგაციის“ 2021 წლის 12 აგვისტოს N01/1318 წერილი
[10] შპს „საქაერონავიგაციის“ 2021 წლის 24 ივნისის N01/995 წერილი

კომპანიის მიერ გაცემული წერილი, სადაც მითითებული იყო გადამზღვეველი კომპანიის წილობრივი მონაწილეობა - ხოლო, გადამზღვეველმა კომპანიამ ეს ინფორმაცია უარყო. კერძოდ, 2017 წელს NAT170001889 ტენდერის ფარგლებში, სს „სადაზღვევო კომპანია ალფამ“ სისტემაში ატვირთა საბროკერო კომპანია Arthur J. Gallagher International-ის წერილი, რომელშიც საბროკერო კომპანიას მითითებული ჰქონდა გადამზღვეველი კომპანიების ჩამონათვალი, სადაც უნდა მომხდარიყო რისკის გადაზღვევა. ერთ-ერთ გადამზღვეველს წარმოადგენდა Swiss Reinsurance Company (15%-იანი წილობრივი მონაწილეობით). ერთ-ერთი პრეტენდენტის მიერ სს „სადაზღვევო კომპანია ალფას“ მიერ წარმოდგენილი წერილი გასაჩივრდა იმ არგუმენტით, რომ Swiss Reinsurance Company-სგან გადაზღვევაზე თანხმობა მათჰქონდათ მიღებული. თავის მხრივ, აღნიშნული ინფორმაციის გადამზღვეველ კომპანიასთან გადამოწმების შემდეგ, აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელს არ ჰქონდა მიცემული თანხმობა Arthur J. Gallagher International-ისთვის და უარყო მისი მონაწილეობა რისკში - რამაც საფრთხე შეუქმნა ტენდერს.[11]

მოპასუხე ასევე აღნიშნავს, რომ სხვადასხვა სადაზღვევო მომსახურებების ერთად შესყიდვა არის შემსყიდველის კომერციული ინტერესი და უპირველეს ყოვლისა ემსახურება კომპანიის ფულადი სახსრების დაზოგვას. კერძოდ, კომპანიის განმარტებით, 2015 წელს ჩატარდა ბაზრის კვლევა, რა დროსაც გათვალისწინებულ იქნა „მასშტაბის ეკონომიის“ (Economies of Scale) პრინციპი - განხორციელდა სხვადასხვა სადაზღვევო მომსახურებების, როგორც ცალკე, ასევე, გაერთიანებული ფასის კვლევა და აღმოჩნდა, რომ სადაზღვევო მომსახურებების გაერთიანების შემთხვევაში, ფასი იყო ბევრად ნაკლები. შედეგად, ხდება კომპანიის სახსრების დაზოგვა. ამასთან, მოპასუხე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მის მიერ ტენდერი ცხადდება შესყიდვის ერთგვაროვან ობიექტებზე და აღნიშნულის შესაძლებლობას იძლევა სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა. ამასთან, მასში მონაწილეობისთვის საჭირო ლიცენზიები გააჩნია ბაზარზე არსებულ თითქმის ყველა კომპანიას. ამასთან, მოპასუხის ინფორმაციით, ყოველწლიურად ტარდება ბაზრის კვლევა, რომლის ფარგლებშიც, სადაზღვევო კომპანიების ინფორმირება ხდება ტენდერის შესახებ და მათ ეძლევათ საშუალება, წარმოადგინონ შესაბამისი ფასების ცხრილი - ამ კვლევაშიც, სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ მიერ გაკეთებული შემოთავაზება, ფასის მხრივ, იყო ყველაზე დაბალი.[12]

ნაწილი 3. ადმინისტრაციული ორგანოებისაგან მიღებული ინფორმაცია

მიმდინარე მოკვლევის პროცესში, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევისა და დაზუსტების მიზნით, სააგენტოს მხრიდან დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა ეთხოვათ სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს, კერძოდ, სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს

[11] შპს „საქაერონავიგაციის“ 2021 წლის 12 აგვისტოს N01/1318 წერილი
[12] იქვე.

(შემდგომში „ზედამხედველობის სამსახური“)[13], სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს (შემდგომში „შესყიდვების სააგენტო“)[14] და სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს (შემდგომში - „ავიაციის სააგენტო“)[15].

3.1. სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

სააგენტომ საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დაზუსტების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან გამოითხოვა ინფორმაცია სხვადასხვა სახის სადაზღვევო მომსახურებების გაერთიანებისა (სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ქონების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა) და ტენდერის ამგვარად გამოცხადების შესაძლებლობის შესახებ. შესყიდვების სააგენტომ კონკურენციის სააგენტოს განუმარტა, რომ შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნება დგინდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით. კერძოდ, „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანებით. გამომდინარე იქიდან, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, ისევე როგორც ქონების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა გაერთიანებულია CPV66500000 კლასიფიკატორის კოდში, მოცემული წესის შესაბამისად, ეს მომსახურებები წარმოადგენენ შესყიდვის ერთგვაროვან ობიექტებს. ამ ფორმით ტენდერის გამოცხადება წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილებას, რომელიც შესაძლოა გამომდინარეობდეს მის მიერ ტენდერის გამოცხადებამდე განხორციელებული წინამოსამზადებელი სამუშაოებისა და ბაზრის მოკვლევის შედეგებიდან.

ამასთან, შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციით, NAT21000812 ელექტრონული ტენდერის გამოცხადებამდე, 2021 წლის 15 მარტს შპს „საქაერონავიგაციამ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარადგინა ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის, ქონების, თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის მომსახურების შესყიდვისთვის თანხმობის მისაღებად, რაზედაც იმის გათვალისწინებით, რომ კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში 2021 წლის განმავლობაში ხორციელდება მხოლოდ სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების შესყიდვა, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ მათთვის საჭირო შესყიდვის ობიექტ(ებ)ი, მოცემულ ეტაპზე, არ წარმოადგენდა კონსოლიდირებული ტედერებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტ(ებ)ს, ხოლო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო არ იყო

[13] სააგენტოს 2021 წლის 29 ივნისის N02/328 და 22 ოქტომბრის N02/560 წერილები
[14] სააგენტოს 2021 წლის 29 ივნისის N02/405 წერილი
[15] სააგენტოს 2021 წლის 20 სექტემბრის N02/472 წერილი

წინააღმდეგი, მომართვაში ნახსენები ობიექტ(ებ)ის შესყიდვა შემსყიდველ ორგანიზაციას განეხორციელებინა კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებს გარეთ.[16]

3.2. სსიპ -- საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური სააგენტოსთან წარმოებულ კორესპონდენციაში აღნიშნავს, რომ გადაზღვევის ინდუსტრია შედგება ორი ძირითადი საბაზრო კომპონენტისგან - პირდაპირი გადაზღვევის ბაზრისა და ბროკერის მეშვეობით გადაზღვევის ბაზრისგან. პირველში შედის იმ პროფესიონალ გადამზღვეველთა მცირე რაოდენობა, რომელიც უშუალოდ აწარმოებს მოლაპარაკებებს მზღვეველ(ებ)თან და დებს გადაზღვევის ხელშეკრულებას, ხოლო მეორეში - სხვადასხვა ზომის გადამზღვეველი კომპანიების გაცილებით უფრო დიდი რაოდენობა, რომლებიც ოპერირებენ გადაზღვევის ბროკერების მეშვეობით.

უწყების პოზიციით, ბროკერის მიერ სადაზღვევო რისკის სამომავლო გადაზღვევასთან დაკავშირებით წინასწარ გაცემული თანხმობა შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს უშუალოდ გადამზღვეველის მიერ სადაზღვევო რისკთან მიმართებით გადაზღვევის ვალდებულების გაცხადებული თანხმობის სრულფასოვან ალტერნატივად იმ შემთხვევაში, თუ ბროკერის წერილს ახლავს შესაბამისი გადამზღვეველი კომპანიის/კომპანიების დასტური.

ზედამხედველობის სამსახური განმარტავს, რომ საქართველოს ბაზარზე მოქმედ ყველა სადაზღვევო კომპანიას აქვს როგორც სიცოცხლის, ასევე, არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზია. თუმცა, რამდენად მიზანშეწონილია ერთი ტენდერის ფარგლებში სხვადასხვა სახის სადაზღვევო მომსახურების შესყიდვა, აღნიშნულზე ზედამხედველობის სამსახურმა მიუთითა, რომ მსჯელობა სცილდება სამსახურის კომპეტენციას, ხოლო საკითხზე - ხსენებული მოთხოვნა წარმოადგენს თუ არა დამატებით ბარიერს სადაზღვევო კომპანიებისთვის, მნიშნველოვანია გარემოებების მრავალმხრივი შეფასების შედეგად, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოტანილი დასკვნა.[17]

ამასთან, ზედამხედველობის სამსახურის მიერ წარმოდგენილ იქნა დამატებითი ინფორმაცია დაზღვევის ბაზარზე მოქმედი ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიების მიერ დაზღვევის სახეობების მიხედვით განხორციელებული საქმიანობების და ქართულ ბაზარზე მოქმედი სადაზღვევო კომპანიების პარტნიორი იმ გადამზღვეველი კომპანიების შესახებ, რომლებიც მონაწილეობენ უშუალოდ საავიაციო რისკების გადაზღვევაში.[18]

---

[16] სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2021 წლის 12 აგვისტოს №01/1326 წერილი

[17] სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2021 წლის 16 ივლისის №01/1115 წერილი

[18] სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2021 წლის 4 ნოემბრის N01/1802 წერილი

3.3. სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

გამომდინარე იქიდან, რომ სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო ახორციელებს შპს „საქაერონავიგაციის“ საქმიანობის რეგულირებასა და ზედამხედველობას, სააგენტომ საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების დაზუსტების მიზნით, მიმართა ავიაციის სააგენტოს სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგის“ მიერ წარმოდგენილ საჩივართან მიმართებით პოზიციის დაფიქსირებისა და მის მიერ მოპასუხის საქმიანობაზე ზედამხედველობის ფარგლების დაზუსტებით მოთხოვნით.

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს განმარტებით, მის მიერ შპს „საქაერონავიგაციის“ ზედამხედველობა ხორციელდება შემდეგი ფორმით: ავიაციის სააგენტო ადგენს ტექნიკურ მოთხოვნებს საერნაოსნო მომსახურების უსაფრთხოების, რეგულირების და ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის და ახორციელებს მის სერტიფიცირებას აღნიშნული მომსახურების გაწევის უფლების მინიჭების მიზნით. რაც შეეხება მის მონაწილეობას და რეკომენდაციას მოპასუხის მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვების პროცეში - საავიაციო სააგენტოს განმარტებით, იგი მსგავს რეკომენდაციებს არ გასცემს. თავის მხრივ, საერნაოსნო მომსახურების საწარმოს მიერ სამოქალაქო პასუხუსმგებლობის დაზღვევის მოთხოვნას ადგნეს ევროკავშირის რეგულაცია (Commission Implementation Regulation (EU) 2017/373), რომელიც ნაწილობრივ დანერგილია სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ნორმატიული აქტით, თუმცა, დაზღვევის მოთხოვნის გარეშე. თავის მხრივ, ავიაციის სააგენტო განმარტავს, რომ დადებითად აფასებს მოპასუხის მიერ ევროკავშირის რეგულაციების სრულ დაცვას და სამოქალაქო პასუხისმგებლობის, როგორც ნებისმიერი სხვა სახის რისკის დაზღვევის უფლებამოსილება შპს „საქაერონავიგაციას“ გააჩნია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. [19]

თავი II. ნორმატიული რეგულირება

ნაწილი 1. კონკურენციის კანონმდებლობის მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე“.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია.

[19] სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს 2021 წლის პირველი ოქტომბრის N01/1586 წერილი

აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

სააგენტოში საჩივრის წარმოდგენისა და სადავო ქმედების განხორციელების დროს მოქმედი კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოსა და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს ეკრძალებათ:

„ა) კავშირის, ასოციაციის, გაერთიანების ან სხვა სახის სამეწარმეო სტრუქტურის შექმნა, თუ ეს იწვევს კონკურენციის შესუსტებას ან შეზღუდვას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) ეკონომიკური აგენტისთვის ისეთი შეღავათის დაწესება, რომელიც მას კონკურენტებთან ან პოტენციურ კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

გ) ეკონომიკური აგენტის ეკონომიკური საქმიანობის ან/და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

დ) საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციისთვის სახელმწიფო სტრუქტურის შექმნა ან არსებული სახელმწიფო სტრუქტურისთვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც შეზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ე) ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ეკონომიკურ აგენტს დომინანტურ მდგომარეობას უქმნის, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნასა და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

ნაწილი 2. კონკურენციის კანონმდებლობის პროცედურული ნაწილი

კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოსა და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსთხოვოს კანონის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; ამასთან, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის შემთხვევაში, წარუდგინოს მას დასაბუთებული წერილობითი დასკვნა და შესაბამისი რეკომენდაცია ამ ორგანოს მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების თაობაზე, მათ შორის, მოსთხოვოს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი დასვას შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე.

„საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-5 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

კანონის 22-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

კანონის 25-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, ასევე, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანების მე-6 მუხლის თანახმად, სააგენტო საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იწყებს საქმის მოკვლევას და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას 6 თვის ვადაში. საქმის მოკვლევა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებელია გაგრძელდეს სააგენტოს მიერ განსაზღვრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 18 თვისა.

კანონის 25-ე მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტების შესაბამისად, სააგენტო შემაჯამებელი სხდომის გამართვამდე განმცხადებელსა და მხარეს წერილობით უგზავნის სააგენტოს საბოლოო გადაწყვეტილების პროექტსა და საქმის მასალებს. ამასთანავე, განმცხადებელსა და მხარეს განემარტებათ, რომ მათ უფლება აქვთ, წარმოადგინონ თავიანთი პოზიციები და შესაბამისი დამატებითი ინფორმაცია (მტკიცებულებები). განმცხადებლისა და მხარის მიერ თავიანთი პოზიციების წარმოდგენისათვის განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 25 სამუშაო დღეზე ნაკლები. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ წარდგენილი ინფორმაცია სააგენტომ შეიძლება არ გაითვალისწინოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის განხორციელების პროცესში მიღებული გადაწყვეტილებები და კვლევები საჯაროა, გარდა კანონის მე-20 მუხლით განსაზღვრული კონფიდენციალური ინფორმაციისა.

ნაწილი 3. დაზღვევის კანონმდებლობა

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სადაზღვევო საქმიანობა არის მზღვეველის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია დაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულებების დადებასა და განხორციელებასთან.

ხსენებული კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია გაიცემა მხოლოდ შემდეგ საქმიანობაზე: ა) სიცოცხლის დაზღვევა; ბ) დაზღვევა (არა სიცოცხლის); გ) გადაზღვევა.

გადაზღვევა არის ოპერაცია, რომლის დროსაც მზღვეველი გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე და თითოეული ასეთი ხელშეკრულების თავისებურების გათვალისწინებით

ახორციელებს სადაზღვევო რისკის და მასთან დაკავშირებული ზარალის მთლიან ან ნაწილობრივ გადაცემას გადამზღვეველი კომპანიისათვის; ხოლო გადამზღვეველი კომპანია – იურიდიული პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს გადაზღვევის საქმიანობას/სადაზღვევო რისკის მთლიან ან ნაწილობრივ მიღებას;[20]

ობლიგატორული გადაზღვევა არის გადაზღვევა, რომლის თანახმად მზღვეველი ვალდებულია გადასცეს, ხოლო გადამზღვეველი კომპანია ვალდებულია მიიღოს გადაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა რისკი; ხოლო ფაკულტატური გადაზღვევა – გადაზღვევა, რომლის თანახმად მზღვეველი გადასცემს გადამზღვეველ კომპანიას ერთი ცალკეული პოლისით მიღებულ რისკს ან ერთ ცალკეულ რისკს ერთჯერადად;[21]

მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, მზღვეველის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის საფუძველია მისი კაპიტალის, სადაზღვევო რეზერვებისა და გადაზღვევის სისტემის არსებობა.

„დაზღვევის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, საქართველოს სადაზღვევო ორგანიზაციას შეუძლია დამოუკიდებლად დადოს გადაზღვევის ხელშეკრულება უცხოეთის ერთ ან რამდენიმე გადამზღვეველთან უშუალოდ.

დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას ახორციელებენ დაზღვევის აგენტი და სადაზღვევო ბროკერი.

დაზღვევის აგენტი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს მზღვეველის დავალებით და სახელით მისთვის მზღვეველის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.[22]

სადაზღვევო ბროკერი არის ინდივიდუალური მეწარმე ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ და დამოუკიდებლად ახორციელებს დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას, როგორც თავისი სამეწარმეო საქმიანობის სახეს.[23]

სადაზღვევო ბროკერის საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება ეყრდნობა რამდენიმე სამართლებრივ აქტს, კერძოდ, „დაზღვევის შესახებ“ კანონს და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის კანონქვემდებარე სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებს:

- 2015 წლის 23 დეკემბრის ბრძანება №10 „სადაზღვევო ბროკერის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“;

---

[20] საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 6 აგვისტოს N33 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის მიერ აღებულ ნეტო ვალდებულებებსა და საზედამხედველო კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობის წესის“ მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, ხელმისაწვდომია: https://www.insurance.gov.ge/files/ShowFiles?id=4a356759-9484-49e9-b4f0-67bcadb64956

[21] იქვე, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები

[22] „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი

[23] იქვე, მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი

- 2019 წლის 24 დეკემბრის ბრძანება №40 „სადაზღვევო ბროკერის რეგისტრაციის და რეგისტრაციის გაუქმების წესის, აგრეთვე სადაზღვევო ბროკერის დამფუძნებლისა და ადმინისტრატორის შესაფერისობის კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“;
- 2019 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №34 „სადაზღვევო ბროკერის მიერ დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპისთვის კაპიტალის/საგარანტიო ფონდის მინიმალური ოდენობისა და შესაბამისი მოთხოვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“;
- 2019 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №35 „სადაზღვევო ბროკერის ან/და ადმინისტრატორის მიმართ ფულადი ჯარიმის ოდენობის დადგენისა და დაკისრების წესის დამტკიცების შესახებ“;
- 2019 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №36 „სადაზღვევო ბროკერისათვის შიგა აღრიცხვის მოთხოვნების დადგენის თაობაზე“;
- 2019 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №38 „სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის წესის დადგენის შესახებ“.

დაზღვევის სფეროში საშუამავლო საბროკერო საქმიანობის განხორციელების უფლება აქვს მხოლოდ სამსახურის მიერ შესაბამისი წესით რეგისტრირებულ პირს. მზღვეველს შეუძლია სადაზღვევო საქმიანობა განახორციელოს, როგორც უშუალოდ, ისე დაზღვევის აგენტისა და სადაზღვევო ბროკერის მეშვეობით. მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ შესაბამისი წესით რეგისტრირებული სადაზღვევო ბროკერის მეშვეობით.[24]

საქართველოში უცხოური იურიდიული პირი სადაზღვევო ბროკერის საქმიანობას ახორციელებს სათანადო წესით რეგისტრირებული ფილიალის (წარმომადგენლობის) მეშვეობით საქართველოს იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.[25]

სადაზღვევო ბროკერის რეგისტრაციას ახორციელებს და სადაზღვევო ბროკერის რეგისტრაციას აუქმებს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური.[26]

საყურადღებოა, რომ დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურში რეგისტრაციისათვის განკუთვნილ ოფიციალური რეგისტრაციის ფორმაში,[27] მომავალმა სადაზღვევო ბროკერმა კონკრეტულად უნდა მიუთითოს იმ საქმიანობის ფარგლები, რომელსაც განახორციელებს. აღნიშნული საქმიანობები განსხვავდება შესასრულებელი სამუშაოს/პასუხისმგებლობის მოცულობისა და დაზღვევის ხელშეკრულების დადების/განხორციელების ეტაპების მიხედვით, კერძოდ:

- შეთავაზება დაზღვევის/გადაზღვევის ხელშეკრულებების დადების მიზნით;
- დაზღვევის/გადაზღვევის ხელშეკრულების დასადებად მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, დაზღვევის ხელშეკრულების დადების ორგანიზება;

---

[24] იქვე, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი
[25] იქვე, მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი
[26] იქვე, მე-12 მუხლის მე-5 პუნქტი
[27] იხ. https://insurance.gov.ge/ka/page/insurer-brokers

- დაზღვევის ხელშეკრულებების დადება მზღვეველის ან/და გადაზღვევის ხელშეკრულების დადება გადამზღვეველი კომპანიის სახელით;
- დაზღვევის ან გადაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით სადაზღვევო შემთხვევიდან გამომდინარე ზარალის შეფასებისა და სადაზღვევო ანაზღაურების პროცედურების ადმინისტრირება;
- მზღვეველის/დამზღვევის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ფარგლებში დაზღვევის/გადაზღვევის ხელშეკრულების შესრულების ხელშეწყობა სადაზღვევო პრემიის შეკრების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის უფლების ჩათვლით;

რაც შეეხება სადაზღვევო ბროკერის მზღვეველთან/დამზღვევთან/გადამზღვეველ კომპანიასთან ურთიერთობას, იგი რეგულირდება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით.[28]

მზღვეველს, დაზღვევის აგენტს, სადაზღვევო ბროკერს ეკრძალება დაზღვევის ხელშეკრულების უცხოეთის სადაზღვევო ორგანიზაციის სახელით დადება, გარდა ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებისა, რომელიც მხოლოდ საქართველოს ფარგლების გარეთ გამოიყენება.

3.1. მზღვეველისა და სადაზღვევო ბროკერის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფა

სადაზღვევო ბროკერის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის საფუძველია მისი კაპიტალი/საგარანტიო ფონდი და პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა. სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია, დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე ფლობდეს სამსახურის მიერ დადგენილი კაპიტალის/საგარანტიო ფონდის მინიმალურ ოდენობას. ეს ფულადი სახსრები დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე უწყვეტად, არანაკლებ 1 წლიანი პერიოდულობით, განთავსებული უნდა იყოს საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში ამ მიზნით გახსნილ განცალკევებულ ანგარიშზე (ანგარიშებზე). ამასთან, სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე ფლობდეს სამსახურის მიერ დადგენილი წესით (მათ შორის, ლიმიტები, დაზღვევის პირობები) პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას.

სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია, დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელებისას განცალკევებულად აწარმოოს საკუთარი ანგარიში და მომხმარებლის ანგარიში საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკში ამ მიზნით გახსნილ განცალკევებულ ანგარიშზე. დაუშვებელია მომხმარებლის ანგარიშზე არსებული თანხის გამოყენება, გარდა მისი მზღვეველისთვის სადაზღვევო პრემიის სახით გადაცემისა და დაზღვეულისთვის სადაზღვევო ანაზღაურების სახით გადაცემისა. ამ ანგარიშზე აკუმულირებული სახსრები სამეურვეო ქონებაში არ შედის და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა კრედიტორის დასაკმაყოფილებლად. ამასთანავე, აღნიშნული ანგარიშის მიმართ არ

[28] „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-8 პუნქტი

უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უზრუნველყოფის საშუალება და ღონისძიება. [29]

3.2. სადაზღვევო ბროკერის მიერ საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპისთვის კაპიტალის/საგარანტიო ფონდის მინიმალური ოდენობა

დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელების მიზნით სადაზღვევო ბროკერად რეგისტრაციის მსურველი პირის, სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში (შემდგომ – სამსახური) წერილობითი განცხადების წარდგენის მომენტში, ხოლო რეგისტრირებული სადაზღვევო ბროკერის მიერ დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე შევსებული კაპიტალის/საგარანტიო ფონდის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარს. კაპიტალის/საგარანტიო ფონდის მინიმალური ოდენობა, დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე, 100%-ით ფულადი ფორმით, უწვეტად უნდა იყოს განთავსებული საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში (დაწესებულებებში) ამ მიზნით გახსნილ განცალკევებულ ანგარიშ(ებ)ზე. [30]

3.3. სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის წესი

სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა წარმოადგენს სადაზღვევო ბროკერის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის საფუძველს. სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე ფლობდეს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას, ამ წესით დადგენილი პირობების შესაბამისად.[31]

პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა ხორციელდება სადაზღვევო ბროკერის მიერ მზღვეველთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის თანახმად სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი სადაზღვევო პრემია, ხოლო მზღვეველი – აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მესამე პირისათვის მიყენებული ზიანი.

სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია სამსახურში წარადგინოს წესით განსაზღვრული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი – ხელშეკრულება და პოლისი სამსახურში სადაზღვევო ბროკერად რეგისტრაციიდან,

---

[29] იქვე, 16[1] მუხლი

[30] 2019 წლის 25 სექტემბრის ბრძანება №34 „სადაზღვევო ბროკერის მიერ დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპისთვის კაპიტალის/საგარანტიო ფონდის მინიმალური ოდენობისა და შესაბამისი მოთხოვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“, მე-2 მუხლი

[31] 2019 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №38 „სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის წესის დადგენის შესახებ“, 1-ლი მუხლი

დაზღვევის ხელშეკრულების გაგრძელებიდან ან მასში ცვლილების შეტანიდან, ახალი ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.[32]

სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ობიექტია ქონებრივი ინტერესი, რომელიც დაკავშირებულია დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელებისას მესამე პირისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასთან. სადაზღვევო შემთხვევად ითვლება სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, საშუამავლო საქმიანობის განხორციელებისას, სადაზღვევო ბროკერის მიერ მესამე პირისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი. დაზღვევის მიზნებისთვის, მესამე პირად ჩაითვლება ნებისმიერი პირი, რომელსაც სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიადგა მატერიალური ზიანი. სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების/პოლისის მოქმედების ვადა განისაზღვრება არანაკლებ ერთი წლით. დაზღვევის ხელშეკრულებიდან/პოლისიდან გამომდინარე მზღვეველის მიერ მესამე პირისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ვრცელდება სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულების/პოლისის მოქმედების ვადის დასრულებიდან არანაკლებ 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში გაცხადებულ სადაზღვევო შემთხვევიდან გამომდინარე ზიანზე.[33]

3.4. სადაზღვევო ლიმიტი და სადაზღვევო ანაზღაურება

სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის წლიური მინიმალური სადაზღვევო ლიმიტი, საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე, განისაზღვრება სადაზღვევო ბროკერის ან უცხოური იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) მიერ წინა საანგარიშო წელს დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობით მიღებული შემოსავლის სულ მცირე ორმაგი ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარისა.

მინიმალური სადაზღვევო ლიმიტი თითოეულ სადაზღვევო შემთხვევაზე განისაზღვრება ამ წესით დადგენილი სადაზღვევო ლიმიტის არანაკლებ 30%-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო ბროკერის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება ითვალისწინებს ზიანის არანაზღაურებად მინიმალურ ოდენობას (ფრანშიზა), იგი არ უნდა აღემატებოდეს ლიმიტის 2% (ორი) პროცენტს.

სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მესამე პირისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული ლიმიტისა. თუ სადაზღვევო ბროკერის მიერ საშუამავლო საქმიანობის შედეგად მესამე პირისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა აღემატება სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ ლიმიტს, სხვაობა ანაზღაურდება უშუალოდ სადაზღვევო ბროკერის მიერ.

---

[32] იქვე, მე-2 მუხლი
[33] იქვე, მე-3 მუხლი

მზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მესამე პირისთვის მიყენებული მატერიალური ზიანი სადაზღვევო ბროკერისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა. თუ სადაზღვევო ბროკერმა შეგნებულად გამოიწვია იმ გარემოების წარმოშობა, რისთვისაც მას ეკისრება პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე, მზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული მატერიალური ზიანი.[34]

3.5. მზღვეველის მიერ აღებულ ნეტო ვალდებულებებსა და საზედამხედველო კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობა

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 6 აგვისტოს N33 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის მიერ აღებულ ნეტო ვალდებულებებსა და საზედამხედველო კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობის წესი“ ადგენს მზღვეველის მიერ ერთი რისკით აღებული ნეტო ვალდებულების მაქსიმალურ ზღვარს საზედამხედველო კაპიტალთან მიმართებაში და მიზნად ისახავს, ერთმა სადაზღვევო შემთხვევამ არ მოახდინოს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მზღვეველის გადახდისუნარიანობაზე/მის საზედამხედველო კაპიტალზე, მზღვეველის საქმიანობას არ დაემუქროს საფრთხე ერთი რისკის გადაჭარბებული ზემოქმედებით. ამ წესით დადგენილი მოთხოვნები ვრცელდება სიცოცხლის დაზღვევის, დაზღვევა (არასიცოცხლისა) და გადაზღვევის სახეების მიხედვით სადაზღვევო საქმიანობის ყველა სახეობაზე, გარდა ჯანმრთელობის დაზღვევის სახეობისა.[35]

ნეტო ვალდებულება (რისკის მაქსიმალური ზღვრული შეკავება) გულისხმობს დაზღვევის/მიღებული გადაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო თანხა/სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტს გადამზღვეველი კომპანიის მიერ აღებული ვალდებულებების გამოქვითვით; დადგენილი მოთხოვნები საკრედიტო რეიტინგებთან/შესაბამის გადახდისუნარიანობის კოეფიციენტებთან დაკავშირებით, არ ვრცელდება მზღვეველის მიერ ერთი რისკის საკუთარი მაქსიმალური ზღვრული შეკავების ფარგლებში (არაუმეტეს საზედამხედველო კაპიტალის 15%) აღებული ვალდებულებების გადაზღვევისას.[36]

აღნიშნული წესის თანახმად, გადაზღვევის ხელშეკრულების დადება დასაშვებია მხოლოდ იმ გადამზღვეველ კომპანიასთან, რომლის საკრედიტო რეიტინგი/შესაბამისი გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი აკმაყოფილებს აღნიშნული წესით დადგენილ მინიმალურ კრიტერიუმებს, რაც მიზნად ისახავს გადამზღვეველი კომპანიის

---

[34] იქვე, მე-7 მუხლი

[35] საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 6 აგვისტოს N33 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის მიერ აღებულ ნეტო ვალდებულებებსა და საზედამხედველო კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობის წესის“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტი

[36] იქვე, მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი

გადახდისუუნარობით მზღვეველზე უარყოფითი ფინანსური ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანას.[37]

ნეტო ვალდებულებების ზღვრული თანაფარდობა საზედამხედველო კაპიტალთან გულისხმობს იმას, რომ სადაზღვევო საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე, მზღვეველის მიერ აღებული ნეტო ვალდებულების (მათ შორის, წესის შესაბამისად მიღებული გადაზღვევით) მაქსიმალური ოდენობა ერთ რისკთან მიმართებაში არ უნდა აღემატებოდეს მზღვეველის მიერ უკანასკნელად გაანგარიშებულ და სამსახურისთვის შესაბამისი საანგარიშო თარიღისთვის წარდგენილ საზედამხედველო კაპიტალის ოდენობის 15%-ს.

დადგენილი მოთხოვნები საკრედიტო რეიტინგებთან/შესაბამის გადახდისუნარიანობის კოეფიციენტებთან დაკავშირებით ფაკულტატური გადაზღვევის ხელშეკრულებების შემთხვევებში არ ვრცელდება საქართველოში ლიცენზირებულ მზღვეველზე/გადამზღვეველ კომპანიაზე, რომელიც ახორციელებს გადაზღვევის საქმიანობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნაწილი 4. შესყიდვების კანონმდებლობა

4.1. შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნება

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვა არის ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა ამავე კანონით განსაზღვრული სახსრებით.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონკურსის, ელექტრონული ტენდერისა და კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით. ხოლო, გამარტივებული შესყიდვა ელექტრონულად შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით.

თავის მხრივ, ამავე კანონის მე-3 მუხლის „ჟ“, „ს^1“ და „ფ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულია გამარტივებული შესყიდვის, ელექტრონული ტენდერის და კონსოლიდირებული ტენდერის ტერმინოლოგია და მითითებულია, რომ სამივე მათგანი წარმოადგენს შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის საშუალებას.

კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ^1“ ქვეპუნქტის თანახმად შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტები არის იდენტური, აგრეთვე არაიდენტური, მაგრამ მსგავსი კომპონენტების, ტექნიკური მაჩვენებლების (მახასიათებლების) ან/და ფუნქციების მქონე შესყიდვის ობიექტები. შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნება დგინდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული

[37] იქვე, 1-ლი მუხლის მე-3 ქვეპუნქტი

აქტით. კერძოდ, „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანებით (შემდგომში - „წესი“).

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს წინასწარ განსაზღვრული შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. ამავე მუხლის მე-6 პუნქტი კი განსაზღვრავს, რა უნდა იყოს გათვალისწინებული შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს და ერთ-ერთი მათგანია შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნება.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვის ობიექტების იდენტიფიკაცია, კლასიფიკაცია და შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნების დადგენა ხორციელდება ევროკავშირის EC#213/2008 დირექტივით გათვალისწინებული შესყიდვების ერთიანი ლექსიკონის გამოყენებით (Common Procurement Vocabulary – CPV), რომელიც ადგენს სახელმწიფო შესყიდვის ობიექტების ერთიან სისტემას და მიზნად ისახავს შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ შესყიდვის ობიექტის აღწერისას გამოყენებული მითითებების სტანდარტიზაციას.

წესის მეოთხე მუხლის თანახმად, კლასიფიკატორი შედგება ძირითადი კოდებისგან, რომლებიც განსაზღვრავს შესყიდვის ობიექტს. კლასიფიკატორის ძირითადი კოდი შედგება 8 ციფრისაგან. კლასიფიკატორი იყოფა 4 ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ შესყიდვების იერარქიულ დონედ, რომელთაგან ყველაზე გამსხვილებულ დონეს წარმოადგენს დანაყოფი. 8 ციფრიანი კოდის პირველი 3 ციფრი განსაზღვრავს დანაყოფს. დანაყოფი შედგება ჯგუფებისგან, ჯგუფები კლასებისგან, ხოლო კლასები კატეგორიებისგან. ზოგიერთ შემთხვევაში კატეგორიები შედგება ქვეკატეგორიებისგან.

წესის მეხუთე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის საშუალების შერჩევისას, კანონის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველსაყოფად, შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნება განისაზღვრება კლასიფიკატორის დანაყოფის შესაბამისად. ანუ 8 ციფრიანი ძირითადი კოდიდან პირველი სამი ციფრის იდენტურობა განაპირობებს შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნებას. გამომდინარე იქედან, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, ისევე როგორც ქონების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა გაერთიანებულია CPV66500000 კლასიფიკატორის კოდში, მოცემული წესის შესაბამისად წარმოადგენენ შესყიდვის ერთგვაროვან ობიექტებს.

წესის მეხუთე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია დაასაბუთებს, რომ ერთი ჯგუფის კლასებსა და კატეგორიებში შემავალი შესყიდვის კონკრეტული ობიექტები არ შეიძლება განხილულ იქნენ ერთგვაროვნად და აღნიშნული შესყიდვის ობიექტების არაერთგვაროვნად ცნობის შესახებ დასაბუთებულ წერილობით მიმართვას წარადგენს შესყიდვების სააგენტოში, სააგენტო არაგვიანეს 10 სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნებასთან დაკავშირებით და აცნობებს შემსყიდველ ორგანიზაციას აღნიშნულის თაობაზე.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 აგვისტოს №446 დადგენილებით დამტკიცებული „კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებმა და მათ კონტროლს დაქვემდებარებულმა შემსყიდველმა ორგანიზაციებმა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით კონკრეტულად განსაზღვრული ის საქონელი და მომსახურება, რომელიც ექცევა ამ დადგენილების დანართით გათვალისწინებულ ჩამონათვალში, უნდა შეისყიდონ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმებით.

სახელწიფო შესყიდვების სააგენტოს შემუშავებული აქვს მეთოდური მითითებები შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპისათვის[38], რომლის მიზანს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციების შესაბამის თანამშრომელთა ცოდნისა და კომპეტენციის ამაღლება. დოკუმენტის 1.6 თავში მოცემულია ტენდერში მონაწილეობის ტიპიური ბარიერების შესახებ. ერთ-ერთ ასეთ ბარიერად მითითებულია მიმწოდებლების სპეციალიზირების გაუთვალისწინებლობა, რაც გულისხმობს ერთ ტენდერში შესყიდვის ობიექტების გაერთიანებას, რომელთა წარმოება/მიწოდება რთულად წარმოსადგენია განხორციელდეს ერთი მიმწოდებლის მიერ. თუმცა აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში მითითებული არ არის ობიექტების ერთგვაროვნება/არაერთგვაროვნების შესახებ.

4.2. ელექტრონული ტენდერის ვადები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15[1] მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, აგრეთვე სატენდერო წინადადებების წარსადგენად განსაზღვრულია შემდეგი ვადები:

ა) 150 000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი საქონლისა და მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში - არანაკლებ 7 დღე, რომელთაგან სულ მცირე პირველი 5 დღე განკუთვნილია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, ხოლო მომდევნო 2 დღე - სატენდერო წინადადების წარსადგენად;

ბ) 150 000 ლარის და მეტი ღირებულების ერთგვაროვანი საქონლისა და მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში - არანაკლებ 10 დღე, რომელთაგან სულ მცირე პირველი 7 დღე განკუთვნილია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, ხოლო მომდევნო 3 დღე - სატენდერო წინადადების წარსადგენად. იმავდროულად, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება შეადგენს ან აღემატება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ

[38]ხელმისაწვდომია: http://www.procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=0e50a2c4-7275-46da-a0c7-98f0cc38350e

ზღვრებს, განისაზღვრება **არანაკლებ 30 დღე,** რომელთაგან სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად განკუთვნილია სულ მცირე პირველი 25 დღე, ხოლო სატენდერო წინადადების წარსადგენად - 5 დღე;

გ) 300 000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში - არანაკლებ 10 დღე, რომელთაგან სულ მცირე პირველი 7 დღე განკუთვნილია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, ხოლო მომდევნო 3 დღე - სატენდერო წინადადების წარსადგენად.

დ) 300 000 ლარის და მეტი ღირებულების ერთგვაროვანი სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – არანაკლებ 20 დღე, რომელთაგან სულ მცირე პირველი 15 დღე განკუთვნილია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, ხოლო მომდევნო 5 დღე – სატენდერო წინადადების წარსადგენად. იმავდროულად, თუ შესასყიდი სამუშაოს სავარაუდო ღირებულება შეადგენს ან აღემატება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს, განისაზღვრება არანაკლებ 30 დღე, რომელთაგან სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად განკუთვნილია სულ მცირე პირველი 25 დღე, ხოლო სატენდერო წინადადების წარსადგენად – 5 დღე.

ნაწილი 5. შეთანხმება საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ (CAA-A)

საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმება დაიდო 2010 წლის 2 დეკემბერს, 2011 წელს მოხდა მისი რატიფიცირება, ხოლო ძალაში შევიდა - 2020 წლის 2 აგვისტოს. შეთანხმების მიზანია, ხელი შეუწყოს საჰაერო ტრანსპორტის სფეროში საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების განვითარებას, კერძოდ, საქართველოს ინტეგრაციას აერონავიგაციის ერთიან ევროპულ სისტემაში, ამ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დახვეწასა და ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოებას და ავიაციის სფეროში ევროკავშირის წესების უმრავლესობის განხორციელებას.

გარდამავალ პერიოდში, სრულად ამოქმედების წინაპირობას წარმოადგენს შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, კერძოდ კი, ხელშეკრულების დანართებში მოყვანილი რეგულაციებისა და დირექტივების ეროვნულ კანონმდებლობაში დანერგვა (ოთხმოცამდე რეგულაცია/დირექტივა).

შეთანხმების მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, შეთანხმების II დანართში დადგენილი გარდამავალი დებულებების თანახმად, მხარეები იმოქმედებენ წინამდებარე შეთანხმების III დანართის B ნაწილში განსაზღვრული კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად...“

ამდენად, შეთანხმების მე-3 დანართი ჩამოთვლის ევროკავშირში არსებულ „სამოქალაქო ავიაციის მოქმედი წესებს“, მათ შორის: კომისიის 2005 წლის 20 დეკემბრის რეგულაცია (EC)

N2096/2005 საჰაერო სანავიგაციო მომსახურების უზრუნველყოფის მოთხოვნების დადგენის შესახებ. რეგულაცია ადგენს უსაფრთხოების ზედამხედველობის ფუნქციას სააერნაოსნო მომსახურებასთან, საჰაერო მოძრაობის ნაკადების მართვასთან (ATFM) და საჰაერო სივრცის მართვასთან (ASM) General Air Traffic-თან მიმართებაში, 2004 წლის 5 ნოემბერს მიღებული ევროკონტროლის მარეგულირებელი მოთხოვნების საჰაერო მოძრაობის ორგანიზებაში (ATM) (ESARR 1) უსაფრთხოების ზედამხედველობის შესაბამისი სავალდებულო დებულებების განსაზღვრისა და მიღების უზრუნველსაყოფად.

შეთანხმების რატიფიცირებიდან დღემდე აღნიშნული 2096/2005 რეგულაცია ჯერ გაუქმდა ევროკომისიის 2011 წლის 17 ოქტომბრის N1035/2011 რეგულაციით, ხოლო თავის მხრივ, ეს უკანასკნელი შეიცვალა ევროკომისიის 2017 წლის 1-ლი მარტის 2017/373 რეგულაციით. დღევანდელი მდგომარეობით ძალაშია 2017/373 რეგულაცია.

სამივე აღნიშნული რეგულაცია შეიცავს დებულებას „პასუხისმგებლობისა და დაზღვევის დაფარვის შესახებ“.

შეთანხმებაში მითითებული და თავდაპირველად მოქმედი „N2096/2005 საჰაერო სანავიგაციო მომსახურების უზრუნველყოფის მოთხოვნების დადგენის შესახებ“ რეგულაციის მე-7 მუხლის მიხედვით,

- საავიაციო ნავიგაციის მომსახურების მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს შესაბამისი მექნიზმები მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებების დაფარვის მიზნით;
- დაფარვის უზრუნველსაყოფად გამოყენებული მეთოდი შესაბამისი უნდა იყოს პოტენციური დანაკარგისა და ზიანისა, საჰაერო ნავიგაციის მომსახურების მიმწოდებლის სამართლებრივი სტატუსისა და კომერციული დაზღვევის საფეხურის გათვალისწინებით;
- საჰაერო ნავიგაციის მომსახურების მიმწოდებელმა, რომელიც სარგებლობს სხვა საჰაერო ნავიგაციის მომსახურების მიმწოდებლის მომსახურებით, უნდა უზრუნველყოს, რომ შეთანხმებები მოიცავს მათ შორის პასუხისმგებლობის განაწილებას.[39]

No 1035/2011 რეგულაციის მე-7 მუხლიც, თავის მხრივ, შეიცავდა ანალოგიურ დათქმას პასუხისმგებლობისა და დაზღვევის შესახებ“.[40]

ხოლო, ამჟამად ძალაში მყოფი 373/2017 რეგულაციის პასუხისმგებლობისა და დაზღვევის დაფარვის რეგულაციის მიხედვით:[41]

ATM/ANS.OR.D.020 Liability and insurance cover

(ა) საჰაერო ნავიგაციის სერვისებს, საჰაერო მოძრაობის მენეჯმენტის პროვაიდერებსა და ქსელის მენეჯერს უნდა ჰქონდეთ მექანიზმები, რათა დაფარონ თავიანთი ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებები შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით.

---

[39] ხელმისაწვდომია:. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32005R2096

[40] ხელმისაწვდომია: https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A32011R1035

[41] ხელმისაწვდომია: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A02017R0373-20210812

(ბ) მეთოდი, რომელიც გამოიყენება დაფარვის უზრუნველსაყოფად, უნდა იყოს შესაბამისი პოტენციური ზარალის და დაზიანებისა, შესაბამისი პროვაიდერების და ქსელის მენეჯერის სამართლებრივი სტატუსისა და კომერციული დაზღვევის საფეხურის გათვალისწინებით.

(გ) საჰაერო ნავიგაციის სერვისებისა და საჰაერო მოძრაობის მენეჯმენტის პროვაიდერებმა და ქსელის მენეჯერმა, რომლებიც სარგებლობენ სხვა მომსახურების მიმწოდებლის მომსახურებით, უნდა უზრუნველყონ, რომ მათ მიერ გაფორმებულმა ხელშეკრულებებმა განსაზღვროს მათ შორის პასუხისმგებლობის განაწილება.

გარდა ამისა, შეთანხმების მესამე დანართი შეიცავს N785/2004 ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 21 აპრილის N785/2004 რეგულაციას (EC),[42] ავიაგადამზიდველებისათვის და საჰაერო ხომალდის ოპერატორებისათვის სადაზღვევო მოთხოვნების შესახებ. აღნიშნული რეგულაცია ადგენს მინიმალური დაზღვევის მოთხოვნებს ავიაკომპანიებისა და თვითმფრინავების ოპერატორებისთვის მგზავრების, ბარგის, ტვირთისა და მესამე პირების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ საქაერონავიგაციის საქმიანობის რეგულირებას და ზედამხედველობას, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 14 ივნისის N95 ბრძანებით დამტკიცებული „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის/საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის წესი“[43] არეგულირებს სამოქალაქო საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის და ავიაგადამზიდველის/მომსახურე ავიაგადამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ფარგლებს.

აღნიშნული ბრძანების მე-4 მუხლის 1-ლი და მეორე პუნქტების მიხედვით, ექსპლუატანტი და ავიაგადამზიდველი/მომსახურე ავიაგადამზიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მგზავრის, ბარგის, ტვირთისა და მესამე პირის ფრენასთან დაკავშირებით სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა. ექსპლუატანტი და ავიაგადამზიდველი/ მომსახურე ავიაგადამზიდველი ვალდებულია უზრუნველყოს ნებისმიერი ფრენის დაზღვევა. ხოლო მესამე პუნქტი ადგენს მინიმალური დაზღვევის ვალდებულების ოდენობებს. თუმცაღა, აღნიშნული წესი დაზღვევის ან/და გადაზღვევის კონკრეტულ რეგულაციებს არ შეიცავს.

---

[42] ხელმისაწვდომია: https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:32004R0785

[43] ხელმისაწვდომია: https://gcaa.ge/wp-content/uploads/2021/03/The-Rule-of-Civil-Liability-Insurance-of-the-AOC-OL-Certificate-Holder-GCAA.pdf

თავი III. შესაბამისი ბაზარი და მასზე მოქმედი სუბიექტები

ნაწილი 1. შესაბამისი ბაზარი

იმისათვის, რომ დადგინდეს, შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ შემუშავებული სატენდერო პირობები არღვევს თუ არა კანონის მე-10 მუხლს, აუცილებელია განისაზღვროს, იზღუდება თუ არა ეკონომიკური აგენტის/აგენტების თავისუფლება - შევიდეს/შევიდნენ შესაბამის ბაზარზე. ამისათვის კი უპირველეს ყოვლისა უნდა მოხდეს შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზარი არის საქონლის, ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების მიმოქცევის სფერო გარკვეულ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებიც დგინდება საქონლის/მომსახურების შეძენის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და შეიძლება მოიცავდეს საქართველოს მთელ ტერიტორიას, საქართველოს ტერიტორიის ნაწილს ან საქართველოს მთელ ტერიტორიას ან მის ნაწილს სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან ან მის ნაწილთან ერთად.

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №37 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების (შემდგომში - „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები“) მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი პარამეტრების გამოყენებით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე გადაწყვეტილებაშიც, ბაზრის იდენტიფიცირება დასახელებული სამი პარამეტრის გამოყენებით მოხდება.

1.1. სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-8 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენისას, მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ურთიერთჩანაცვლებადობის კრიტერიუმები შესაძლოა, განხილულ იქნეს როგორც მომხმარებლის, ასევე მიმწოდებლის/მწარმოებლის თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვებთან - ტენდერებთან მიმართებით სააგენტოს უკვე დამკვიდრებული აქვს პრაქტიკა შესაბამისი ბაზრის განსაზღვრასთან დაკავშირებით. კერძოდ, სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 07 აგვისტოს №113 ბრძანებით დამტკიცებულ

გადაწყვეტილებაში სააგენტომ განმარტა, რომ *„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩატარებული ყოველი ტენდერის შემთხვევაში იქმნება ცალკე შესაბამისი ბაზარი, რომელსაც გააჩნია შესვლის ცალკე ბარიერები, მასზე მოქმედი და პოტენციური სუბიექტები და მოცულობა (რომელიც განისაზღვრება შესასყიდი ობიექტის შესაბამისად). აღნიშნულის გათვალისწინებით სააგენტო განიხილავს განმცხადებლის მხრიდან სადავოდ გამხდარ თითოეულ ტენდერს ცალ-ცალკე“.* [44]

ამდენად, სააგენტომ შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებად განიხილა უშუალოდ **სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის, ქონების, თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის მომსახურებების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერი (NAT210008212).**

1.2. სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-11 მუხლის შესაბამისად, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები, შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება. აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის (NAT210008212) ფარგლებში შესყიდული დაზღვევის მომსახურებები არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული ტერიტორიით. ამდენად, **გეოგრაფიულ საზღვრად მიჩნეულ იქნა ქვეყნის მთელი ტერიტორია.**

1.3. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო

შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში. ელექტრონული ტენდერის (NAT210008212) ფარგლებში შესყიდული დაზღვევის მომსახურებების ბაზარი არ წარმოადგენს სეზონური ხასიათის ბაზარს და იგი ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში. ამ ბაზარზე არ შეინიშნება რაიმე სახის წყვეტა წელიწადის დროების მიხედვით. შესაბამისად, **ბაზარს არ გააჩნია რაიმე დროითი ჩარჩო.**

---

[44] ეს მიდგომა გამოყენებულ იქნა კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 06 ივლისის №04/166 ბრძანებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებაში. გვ, 22-23.

ნაწილი 2. შესაბამის ბაზარზე მოქმედი და დაკავშირებული სუბიექტები

2.1. სადაზღვევო კომპანიები

სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებით,[45] დღეის მდგომარეობით, რეგისტრირებულია და საქმიანობის უფლება მინიჭებული აქვს 18 სადაზღვევო კომპანიას, რომლებიც ფლობენ როგორც სიცოცხლის დაზღვევის, ასევე, დაზღვევის (არა სიცოცხლის) ლიცენზიას.[46] თავის მხრივ, მიუხედავად ლიცენზირებისა, ფაქტობრივი საქმიანობის მიხედვით, ყველა კომპანია არ ოპერირებს დაზღვევის ყველა სახეობაში. (მაგალითად, 3 კომპანიას არ აქვს ჯანმრთელობის დაზღვევის პროდუქტი და ა.შ). თუმცა, თეორიული თვალსაზრისით, კომპანიების უმრავლესობისთვის, პროდუქტის ხასიათის გათვალისწინებით, სადავო ტენდერის ფარგლებში შესასყიდი მომსახურებების მიწოდება შესაძლებელია როგორც მათი ცალ-ცალკე, ასევე, ერთობლივად შესყიდვის შემთხვევაში.[47]

მოკვლევის ფარგლებში შესასწავლ სადავო გარემოებებთან მიმართებით, 18-ვე სადაზღვევო კომპანიას სააგენტოს მიერ გაეგზავნა წერილი პოზიციის დაფიქსირების მოთხოვნით[48] და ყველა მათგანის მიერ მოხდა საპასუხო კორესპოდენციის სააგენტოში წარმოდგენა.[49] შედეგად, სააგენტოს მიერ ინფორმაცია დამუშავდა თითოეულ სადავო გარემოებასთან მიმართებით. კერძოდ:

17 სადაზღვევო კომპანიისგან[50] მიღებული წერილების ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირდა, რამდენი სადაზღვევო კომპანია აპირებდა მიეღო მონაწილეობა შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ გამოცხადებულ NAT210008212 ტენდერში და რა გახდა მიზეზი მათგან თავის შეკავების. კერძოდ, დადგინდა, რომ 17 სადაზღვევო კომპანიიდან 11 მათგანს ჰქონდა სურვილი მონაწილეობა მიეღო NAT21000812 ტენდერში, თუმცა რიგი მიზეზების გამო თავი შეიკავეს ტენდერში შესვლისგან. ხოლო, 6 სადაზღვევო კომპანიას არ გამოუთქვამს სურვილი აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობის მიღებისა.

---

[45] იხ. https://insurance.gov.ge/ka/page/insurer-brokers

[46] იხ. https://www.insurance.gov.ge/ka/page/insurers

[47] სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2021 წლის 4 ნოემბრის N01/1802 წერილით წარმოდგენილი ინფორმაცია სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემული პოლისების შესახებ; 18 სადაზღვევო კომპანიის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი ინფორმაცია. იხ. სქოლიო N45

[48] სააგენტოს მიერ 2021 წლის 29 ივლისს გაგზავნილი წერილები N02/406 – N02/421, N02/470 – N02/471 (20.09.2021)

[49] სადაზღვევო კომპანიების მიერ სააგენტოში წარმოდგენილი წერილები N01/1279 (06.08.2021), N01/1290 (09.08.2021), N01/1298-N01/1299 და N01/1303 (10.08.2021), N01/1309 (11.08.2021), N01/1317 და N01/1325 (12.08.2021), N01/1327 – N01/1329, N01/1335 - N01/1336 (13.08.2021), N01/1358 (18.08.2021), N01/1379 (24.08.2021), N01/1405 (31.08.2021), N01/1529 (24.09.2021) და N01/1533 (27.09.2021)

[50] გამომდინარე იქიდან, რომ სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ არის NAT210008212 ტენდერში გამარჯვებული კომპანია, პოზიციების დამუშავება განხორციელდა დარჩენილი 17 კომპანიის მაგალითზე.

დიაგრამა N1



NAT210008212 ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველი 11 სადაზღვევო კომპანიიდან 5-მა მათგანმა არ მიიღო მონაწილეობა უშუალოდ გადაზღვევასთან დაკავშირებული პირობების გამო; 6-მა მათგანმა ასევე დაასახელა - სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ქონების, ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევის შესყიდვის ერთ ლოტად გამოცხადება. ხოლო, 3-მა არ მიიღო მონაწილეობა გამომდინარე იქიდან, რომ პრემიის სანაცვლოდ წაყენებული მოთხოვნები ვერ დაკმაყოფილდა ან/და სხვა პირობები იყო არაკონკურენტული.

იმ 6 სადაზღვევო კომპანიიდან, რომლებსაც არ ჰქონდათ სურვილი, მონაწილეობა მიეღოთ შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ გამოცხადებულ NAT210008212 ტენდერში, 2 კომპანია ზოგადად არ იღებს მონაწილეობას სახელმწიფო შესყიდვებში, 1 კომპანიისთვის პრობლემა იყო სატენდერო წინადადების მომზადების მცირე ვადა, 2 კომპანიას უბრალოდ არ ჰქონდა სურვილი მიეღო მონაწილეობა აღნიშნულ ტენდერში, ხოლო სს „გრინ დაზღვევა საქართველო“ ჯანმრთელობის დაზღვევის პროდუქტით დღემდე არ ოპერირებს და ამიტომ ტენდერის პირობების დეტალური განხილვა მათ მხრიდან არ მომხდარა.

სააგენტოს შეკითხვაზე, შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ NAT210008212 ტენდერში მითითებული სადაზღვევო მომსახურებების ცალ-ცალკე ლოტად გამოცხადების შემთხვევაში კონკრეტულად რომელი სადაზღვევო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში ვერ მიიღებდნენ მონაწილეობას - 17 სადაზღვევო კომპანიიდან - 8 მათგანი პასუხობს, რომ ვერ მიიღებდა მონაწილეობას სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაში. თავის მხრივ, კონკრეტულად ამ ლოტში მონაწილეობის მიღების შეუძლებლობის მიზეზად 6 სადაზღვევო კომპანია ასახელებს სატენდერო დოკუმენტაციის 2.8.1 პუნქტში მითითებულ მოთხოვნას, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის სადაზღვევო რისკის 100%-ით

გადაზღვევის შესახებ, რომელიც წერილობით დადასტურებული უნდა იყოს გადამზღვეველი კომპანი(ებ)ის მიერ (საბროკერო კომპანიის/ბროკერის წერილის არ მიღება), 1 კომპანია მიზეზად ასახელებს მხოლოდ ჯანმრთელობის/სიცოცხლის დაზღვევის სახეობაში ოპერირებას, ხოლო 1 - სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ნაწილში გაზრდილი გადაზღვევის მომსახურების ღირებულებას.

თავის მხრივ, დარჩენილი 9 სადაზღვევო კომპანიიდან 5 მათგანი არ აკონკრეტებს, რომელი სადაზღვევო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში ვერ მიიღებდა მონაწილეობას, 2 კომპანიას არ გააჩნია ჯანმრთლობის დაზღვევის პროდუქტი, ხოლო 2 მათგანი საერთოდ არ ღებულობს მონაწილეობს სახელმწიფო შესყიდვებში.

შესყიდვის ცალ-ცალკე ლოტებად გამოცხადების შემთხვევაში, რა მომსახურების ნაწილში ვერ მიიღებნენ სადაზღვევო კომპანიები მონაწილეობას

(17 კომპანიის მონაცემები)

დიაგრამა N2





2.1.1. სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ქონების, ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევის შესყიდვის ერთ ლოტად გამოცხადების დადებითი და უარყოფითი მხარეები

სააგენტოს მიერ ასევე იდენტიფიცრდა, სადაზღვევო კომპანიებისთვის რა არის სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ქონების, ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევის შესყიდვის ერთ ლოტად გამოცხადების დადებითი და უარყოფითი მხარეები. 18 კომპანიისგან მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ კომპანიების უმეტესობისთვის, ტენდერის

ერთ ლოტად გამოცხადებას აქვს უფრო მეტი უარყოფითი შედეგი, ვიდრე დადებითი და ხელს უშლის ბაზარზე ჯანსაღ კონკურენციას. კერძოდ:

ლოტების გაერთიანების დადებითი მხარეა:

- კორპორაციული ურთიერთანამშრომლობა, შესყიდვის ობიექტის მარტივი შესყიდვა და მისი შემდგომი მარტივი ადმინისტრირება;
- პროდუქტების გაერთიანება ფინანსურად უფრო საინტერესოა მზღვეველი კომპანიებისათვის და უფრო მაღალია მათი დაინტერესების ალბათობა;
- ხდება სახელმწიფო სახსრების რაციონალური ხარჯვა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან, რადგან ერთგვაროვან ობიექტზე ტენდერის გამოცხადების შემთხვევაში, შემსყიდველს მინიმალური სადაზღვევო პრემიის გადახდა და მინიმალური დანახარჯის გაწევა უწევს. ამასთან, იზოგება დრო და შემსყიდველს სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარება უწევს ერთ სადაზღვევო კომპანიასთან;
- პრემიის შესაძლო ეკონომია, რომელიც სხვადასხვა პროდუქტის გაერთიანებით გამოწვეული ჯამური მარჟის შედეგია.

ლოტების გაერთიანების უარყოფითი მხარეა:

- ბაზრის სხვა მონაწილეების შესაძლებლობის შეზღუდვა;
- კონკრეტული მომსახურების ლიცენზიის არქონის შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანიას ეზღუდება ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა. მაგალითად, სადაზღვევო კომპანიას, რომელიც ოპერირებს მხოლოდ ჯანმრთელობის დაზღვევის სახეობაში, ერთმევა უფლება, დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა ამგვარად გაერთიანებულ სახელმწიფო შესყიდვაში;
- შესაძლოა სადაზღვევო კომპანიას აქვს შესაძლებლობა, სხვა პრეტენდეტებთან შედარებით, უკეთესი პირობები შესთავაზოს შემსყიდველ ორგანიზაციას ერთ-ერთი მომსახურების ნაწილში, თუმცა, გაერთიანების გამო, საერთოდ ვერ იღებს მონაწილეობას სახელმწიფო ტენდერში;
- სადაზღვევო კომპანიას შესაძლოა ფინანსური ინტერესი ჰქონდეს მხოლოდ ერთი სახეობის დაზღვევის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში და გაერთიანებულ ლოტში შემავალი რომელიმე მომსახურების შესყიდვა არ იყოს მისთვის მომგებიანი;
- დაზღვევის ერთ სახეობაში გარკვეული მოთხოვნის გამო, შესყიდვების პროცესში კონკურენციას არ აქვს ადგილი დაზღვევის არცერთ სახეობაში.

2. 1.2. სადაზღვევო კომპანიების მიერ გადაზღვეველ კომპანიებთან კომუნიკაციის მეთოდები

სააგენტოს მიერ შესწავლილ იქნა, თუ როგორ ახორციელებენ სადაზღვევო კომპანიები კომუნიკაციას გადამზღვეველელ კომპანიებთან - პირდაპირ თუ საბროკერო კომპანიების

მეშვეობით და რა სირთულეებთან არის დაკავშირებული ბროკერის გარეშე, პირდაპირ გადამზღვეველ კომპანიასთან დაკავშირება.

შედეგად, 18 სადაზღვევო კომპანიიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე იდენტიფიცირდა, რომ 16 სადაზღვევო კომპანია გადამზღვეველ კომპანიებთან ურთიერთობას ამყარებს როგორც პირდაპირ, ასევე, სადაზღვევო ბროკერების მეშვეობით. კომპანიების პოზიციით, ბროკერებს გაცილებით ინტენსიური, მასშტაბური და ხშირი კავშირები აქვთ გადამზღვეველებთან. ბროკერებს უფრო მარტივად, დროის მნიშვნელოვანი დაზოგვით შეუძლიათ რისკის განთავსება რამდენიმე გადამზღვეველთან ერთდროულად. ასევე აღსანიშნავია, რომ არსებობენ გადამზღვეველები, რომლებიც სადაზღვევო ბროკერის გარეშე პირდაპირ კონტაქტს არ ამყარებენ სადაზღვევო ორგანიზაციებთან - ასეთი ბროკერები აკრედიტირებულნი არიან დიდი ბრიტანეთის ფინანსური მარეგულირებლის (Financial Conduct Authority (FCA)) მიერ და წარმოადგენენ კომპანიებს ლოიდსის საერთაშორისო გადაზღვევის ბაზარზე. შესაბამისად, სადაზღვევო კომპანია პირდაპირ, ლოიდსის ბროკერის ჩართულობის გარეშე ვერ განათავსებს რისკს ლოიდსის სინდიკატთან. ამასთან, კომპანიების განმარტებით, სპეციფიური რისკების გადარღვევისას (მაგ: საავიაციო რისკები, საწყალოსნო და ა.შ), გადამზღვეველი კომპანიები წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებებს აწარმოებენ უპირატესად საბროკერო კომპანიებთან.

რაც შეეხება დარჩენილ 2 კომპანიას - სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L"-ის განმარტებით, კომპანია ზოგადად არ სარგებლობს გადაზღვევის სფეროში საბროკერო კომპანიების მომსახურებით. ასევე, კომპანიას არ მიუღია ისეთ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეობა, სადაც მოთხოვნილია გადაზღვევა. ხოლო, სს „სადაზღვევო კომპანია ტაო" 2018 წლიდან არ ღებულობს მონაწილეობას სახელმწიფო შესყიდვებში, ოპერირებს მხოლოდ კერძო სექტორში.

ამასთან, ეკონომიკური აგენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად[51] იდენტიფიცრდა კომპანიების პარტნიორი 100-ზე მეტი ბროკერი და 200-ზე მეტი გადამზღვეველი კომპანია. თავის მხრივ, ინფორმაციის დაჯამების შედეგად, გამოიკვეთა, რომ დაახლოებით 20-მდე ბროკერი ემსახურება ერთდროულად რამდენიმე სადაზღვევო კომპანიას, ხოლო 40-მდე გადამზღვეველ კომპანიას, პარტნიორობის კუთხით, ასევე დაუფიქსირდა კვეთა ერთი და იმავე სადაზღვევო კომპანიასთან. თავის მხრივ, სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი" თანამკვეთი 40 კომპანიიდან თანამშრომლობს 12 მათგანთან.

2.1.3. სადაზღვევო კომპანიების პოზიცია სატენდერო დოკუმენტაციის 2.8.1 პუნქტში მითითებული პირობის - სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის სადაზღვევო რისკის 100%-ით გადაზღვევის შესახებ გადამზღვეველი კომპანი(ებ)ის მიერ გაცემული წერილობითი დასტურის (საბროკერო კომპანიის/ბროკერის წერილი არ მიიღება),

[51] მონაცემები დათვლილია 14 სადაზღვევო კომპანიის მაგალითზე, გამომდინარე იქიდან, რომ 4-მა კომპანიამ სააგენტოში არ წარმოადგინა ინფორმაცია მათი პარტნიორი გადამზღვეველი კომპანიების შესახებ.

რომელიც წარდგენილი უნდა ყოფილიყო ელექტრონული ტენდერის სტატუსის „წინანადების მიღება დაწყებულია“ ეტაპზე - მიზანშეწონილობის შესახებ

18 სადაზღვევო კომპანიისგან მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად, იდენტიფიცირდა, რომ კომპანიათა უმეტესობა ტენდერში მონაწილეობის მიზნით უშუალოდ გადამზღვეველის მიერ გაცემული წერილის წარდგენას პრობლემურად მიიჩნევს და მათი პოზიციით, შესაბამისი ქვეყნის მარეგულირებელი ორგანოს მიერ აკრედიტებული ბროკერების მხრიდან გაცემული წერილი - ტენდერში კონკრეტული კომპანიის გამარჯვების შემთხვევაში მოიძიოს გადამზღვეველი კომპანია - საკმარისი უნდა იყოს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში მონაწილეობის მსურველი პირისათვის ტენდერში მონაწილეობის მისაღებად. კერძოდ, 11 სადაზღვევო კომპანია მიიჩნევს აღნიშნულ მოთხოვნას პრობლემურად; 4 მათგანის განმარტებით, ეს პირობა მიზანშეწონილია, ხოლო, 3-მა მათგანმა თავი შეიკავა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პოზიციის გამოხატვისგან.

ამასთან, გასათვალისწინებელია, ის გარემოება, რომ კომპანიათა უმრავლესობისთვის მიზანშეუწონელია არა ზოგადად შესყიდვების პროცესში აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად გადამზღვეველი კომპანიის ჩართულობა - რადგან ვერც ერთი სადაზღვევო კომპანია ვერ აიღებს სადაზღვევო რისკს საკუთარ გადაზღვევის გარეშე, - არამედ, კომპანიების შეფასებით, მთავარი პრობლემა არის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ რისკის გადაზღვევის თაობაზე ვალდებულების აღების შესახებ წერილის მოთხოვნა ტენდერის საწყის ეტაპზე. კერძოდ, 11 სადაზღვევო კომპანიის პოზიციით, აღნიშნულ ეტაპზე გადამზღვეველი კომპანიის წერილის მოპოვება თითქმის შეუძლებელია იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ სპეციფიური რისკების გადაზღვევის ბაზარი არის ვიწრო და რისკი შესაძლოა რამოდენიმე გადამზღვეველთან იყოს გადასაზღვევი. ამასთან, გადამზღვეველები, რომლებიც იღებენ მსგავსი მოცულობის რისკებს, უკვე არიან პარტნიორულ ურთიერთობაში იმ კომპანიებთან, რომლებიც წინა წლებში იყვნენ გამარჯვებული მსგავს ტენდერებში და კომპანიები ხშირ შემთხვევაში არ ადასტურებენ მათ მონაწილეობას ჰიპოთეტური სახელშეკრულებო ურთიერთობის შემთხვევაში. შესაბამისად, გადაზღვევის ბაზარი სხვა პრეტენდეტებისათვის თავისუფლდება მას შემდეგ, რაც ის უკვე გაიმარჯვებს ტენდერში - მხოლოდ აღნიშნული ფაქტის შემდეგ ხდება რეალურად შესაძლებელი კონკრეტული გადამზღვეველი კომპანიის წერილობით დადასტურებული დოკუმენტის მოპოვება.

თავის მხრივ, 3 კომპანია მიიჩნევს, რომ მითითებული პერიოდი სავსებით საკმარისი უნდა ყოფილიყო პარტნიორი გადამზღვეველი კომპანიის მხრიდან თანხმობის მოსაპოვებლად. აქედან სს „სადაზღვევო კომპანია არდის“ პოზიციით, აღნიშნული ვადა სავსებით საკმარისია გადამზღვეველი კომპანიის წერილობითი დასტურის წარსადგენად იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გადამზღვეველთან მოლაპარაკებების დაწყება შესაძლებელია ტენდერის გამოცხადებამდე. ხოლო, 4-მა კომპანიამ თავი შეიკავა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პოზიციის გამოხატვისგან.

დიაგრამა N3



2.2. საბროკერო კომპანიები

სააგენტოს მიერ ასევე მოკვლეულ იქნა ინფორმაცია სადაზღვევო ბროკერების შესახებ. ბროკერები, მართალია, არ წარმოადგენენ უშუალოდ შესაბამის ბაზარზე მოქმედ სუბიექტებს, თუმცა, სადავო საკითხი შეეხებოდა მათ მიერ გაცემული წერილობითი დასტურის წარდგენის მიზანშეწონილობას. სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაცემებით,[52] დღეის მდგომარეობით, რეგისტრირებულია და საქმიანობის უფლება მინიჭებული აქვს 16 სადაზღვევო ბროკერს.[53]

მოკვლევის ფარგლებში დასმულ სადავო საკითხებთან მიმართებით, პოზიციის გამოკვეთის მიზნით, სააგენტომ შესაბამისი კითხვებით მიმართა 16-ვე მათგანს.[54] 14-მა

[52] იხ. https://insurance.gov.ge/ka/page/insurer-brokers

[53] შპს "სადაზღვევო ბროკერი მაი ჯორჯია "შპს "რეზოლუშენ ინშუარანს ბროუქერს საქართველო"; შპს "სადაზღვევო ბროკერი ჯი.ეს"; შპს "ჯორჯიან რეინშურანს ბროკერს GEORGIAN REINSURANCE BROKERS"; შპს "სადაზღვევო ბროკერი რესპექტი"; შპს "სადაზღვეო ბროკერი სიბ ჯორჯია"; შპს "სადაზღვევო ბროკერი ნიკოლოზ ჯგუფი"; შპს "მაგნუსი სადაზღვევო ბროკერი"; შპს "სადაზღვევო-საბროკერო კომპანია აი ბი სი ჯორჯია"; შპს "სადაზღვევო საბროკერო კომპანია კალმა"; შპს "დაზღვევის და გადაზღვევის ბროკერი არრიბა"; შპს "სადაზღვევო და გადაზღვევის ბროკერი ბროკერზ ჰაუზ ჯორჯია"; შპს "სადაზღვევო საბროკერო აი ჯი"; შპს "სადაზღვევო ბროკერი ბროკერს ჰაბი"; შპს "საქართველოს სადაზღვევო ბროკერი ჯი-აი-ბი" და უცხოური საწარმოს ფილიალი „ზამან ინშუარენს&რეინშუარენს ბროკერ-ის ფილიალი“.

[54]სააგენტოს მიერ 2021 წლის 24 სექტემბერის N02/488-N02/503 წერილები

საბროკერო კომპანიამ სააგენტოში წარმოადგინა შესაბამისი საპასუხო წერილი[55], ხოლო 2 მათგანისგან ინფორმაციის მიღება არ მომხდარა. შესაბამისად, კომპანიების პოზიციების იდენტიფიცირება სადავო საქმის გარემოებებთან მიმართებით განხორციელდა 14 საბროკერო კომპანიის მაგალითზე.

2.2.1. საბროკერო კომპანიების პოზიცია სატენდერო დოკუმენტაციის 2.8.1 პუნქტში მითითებული პირობის - სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის სადაზღვევო რისკის 100%-ით გადაზღვევის შესახებ, რომელიც წერილობით დადასტურებული უნდა იყოს გადამზღვეველი კომპანი(ებ)ის მიერ (საბროკერო კომპანიის/ბროკერის წერილის არ მიღება) - მიზანშეწონილობის შესახებ

14 საბროკერო კომპანიისგან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, იდენტიფიცირდა შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ გამოცხადებული NAT210008212 შესყიდვის ფარგლებში, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობა - სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის სადაზღვევო რისკის 100%-ით გადაზღვევის შესახებ, რომელიც წერილობით დადასტურებული უნდა იყოს გადამზღვეველი კომპანი(ებ)ის მიერ (საბროკერო კომპანიის/ბროკერის წერილი არ მიიღება), რამდენად წარმოადგენს მიზანშეწონილს საბროკერო კომპანიების პოზიციით.

5 კომპანიის პოზიციით, აღნიშნული მოთხოვნის სატენდერო პირობაში ჩადება არ არის მიზანშეწონილი, გამომდინარე იქიდან, რომ დიდი და კომპლექსური რისკების გადაზღვევა, უმრავლეს შემთხვევაში ხორციელდება საბროკერო კომპანიების მეშვეობით და გადამზღვეველი კომპანიები სადაზღვევო კომპანიებთან ამყარებენ კომუნიკაციას მხოლოდ ბროკერების მეშვეობით. ამასთან, ავიაციასთან დაკავშირებული რისკები წარმოადგენს რთულ სფეროს, რომელიც გამოირჩევა მაღალი ლიმიტებით და ასეთი რისკის გადაზღვევას ესაჭიროება მაღალი კლასის, დიდი კაპიტალიზაციის, რეიტინგული და გამოცდილი სადაზღვევო კომპანიების მომსახურება. საქართველოს ბაზარზე ძირითადად გამოიყენება ლონდონის და ლოიდსის ე.წ. სადაზღვევო ბაზრები. თავის მხრივ, აღნიშნულ ბირჟებზე მოქმედი კომპანიების უმრავლესობა მუშაობს ბრიტანეთში რეგისტრირებული ბროკერების მეშვეობით. მხოლოდ ლოიდსის ბირჟაზე მოქმედი კომპანიები (ე.წ. სინდიკატები) ურთიერთობენ მხოლოდ ლოიდსის მიერ რეგისტირერებული ბროკერების მეშვეობით. ამასთან, მსგავს რისკებს იღებს არა ერთი, არამედ რამოდენიმე გადამზღვეველი კომპანია და რისკები გადანაწილებულია მათ შორის. ამასთან, კომპანიების პოზიციით, გადამზღვეველები ერიდებიან ტენდერის საწყის ეტაპზე თანხმობის გაცემას, რადგან მათთვის საბოლოოდ არ არის ცნობილი გამარჯვებული, რისკი, ადგილობრივი ბაზარი და ა.შ. ასევე, რისკის რამოდენიმე

[55] საბროკერო კომპანიების მიერ სააგენტოში წარმოდგენილი წერილები 01/1537, N01/1542 და 01/1545 (27.09.2021), 01/1557 და 01/1562 (29.09.2021), N01/1568-N1569, N01/1575 და N01/1577 (30.09.2021) N01/1597 (05.10.2021), N01/1631 (08.10.2021), 01/1633 (11.10.2021), N01/1636 (11.10.2021), 01/1667 (13.10.2021).

გადამზღვეველ კომპანიაში გადაზღვევის შემთხვევაში, ფორმალური მოთხოვნებია გასათვალისწინებელი, რომელიც შეიძლება ვერ მოესწოროს მითითებულ ვადაში, მაშინ, როდესაც რეიტინგული ბროკერის ერთი წერილი სრულიად საკმარისია საწყისი ეტაპისათვის.

ამასთან, ზემოაღნიშნული 5 კომპანიიდან, ერთმა ასევე იმსჯელა სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ქონების, ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევის შესყიდვის ერთ ლოტად გამოცხადების არამიზანშეწონილობაზე და მიუთითა, რომ დაზღვევის ოთხივე სახეობა არის სრულიად განსხვავებული ერთმანეთისგან, რომელსაც განსხავავებული ანდერაიტინგული მიდგომა სჭირდება. ამასთან, საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიებიდან ზოგიერთი არ მუშაობს დაზღვევის ყველა მიმართულებით (მაგალითად, ზოგს არ აქვს ჯანმრთელობის ან სიცოცხლის დაზღვევა, ზოგი არ მუშაობს საავიაციო დაზღვევის მიმართულებით და ა.შ.), შესაბამისად, ტენდერის ერთ ლოტად გამოცხადება ზღუდავს კონკურენციას.

5 კომპანიის პოზიციით, შპს „საქაერონავიგაციის“ მოთხოვნა სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის სადაზღვევო რისკის 100%-ით გადაზღვევის შესახებ, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს გადამზღვეველი კომპანი(ებ)ის მიერ - მიზანშეწონილია და სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. კომპანიების პოზიციით, ბროკერის მიერ გაცემული დაპირება არ არის გათანაბრებული გადამზღვეველის მიერ აღებულ ვალდებულებასთან და როდესაც საბროკერო კომპანია გასცემს წერილს, მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი თანხმობა გადამზღვეველი კომპანიისგან. ამასთან, კომპანიების პოზიციით, საბროკერო კომპანიის წერილის არ მიღება არანაირად არ გამორიცხავს აღნიშნულ ტენდერში ბროკერის ჩართულობას. ხოლო, ერთი კომპანია მიიჩნევს, რომ საბროკერო კომპანიის წერილი მისაღებია იმ შემთხვევაში, თუ გადაზღვევა განხორციელდება იმავე გადამზღვეველთან.

გამოკითხული 14 საბროკერო კომპანიიდან ოთხმა კომპანიამ თავი შეიკავა პოზიციის დაფიქსირებისგან. აქედან სამმა შესაბამის მიზეზად დაასახელა ის ფაქტი, რომ არ ახორციელებს გადაზღვევის საქმიანობას და ოპერირებს მხოლოდ ქვეყნის შიდა ბაზარზე.

დიაგრამა N4



რაც შეეხება გადამზღვეველ კომპანიებთან ურთიერთობის ფორმას და სირთულეს, საბროკერო კომპანიების უმრავლესობის განმარტებით, გადამზღვეველი კომპანიები, რომლებიც საავიაციო რისკების გადაზღვევაზე მუშაობენ, ბროკერის გარეშე იშვიათად ურთიერთობენ სადაზღვევო კომპანიებთან. ასევე, მოცემული რისკი საჭიროებს გადანაწილებას რამდენიმე გადამზღვეველთან, რასაც გარკვეული პროცედურები სჭირდება და როგორც წესი, ბროკერები ასრულებენ მსგავსი ტიპის მომსახურებას. ასევე აღსანიშნავია, რომ რისკის ლოიდსის ბაზარზე განთავსებისას სადაზღვევო კომპანიას არ აქვს პირდაპირი კავშირი ლოიდსის გადამზღვეველ კომპანიებთან. კომპანიების პოზიციით, დიდი მოცულობისა და სპეციფიკური რისკების შემთხვევაში, ბროკერის გარეშე გადამზღვეველთან პირდაპირი მოლაპარაკებების წარმოება რთულია.

გამოკითხული კომპანიების მცირე ნაწილის (3 კომპანია) პოზიციის მიხედვით, სადაზღვევო კომპანიას შეუძლია მიმართოს გადამზღვევ კომპანიას ბროკერის ჩართულობის გარეშეც და აღნიშნული დამოკიდებულია მხოლოდ სადაზღვევო კომპანიის სურვილზე. ეს კი არ წარმოადგენს სირთულეს, რადგან ყველა სადაზღვევო კომპანია თანამშრომლობს უშუალოდ გადამზღვეველებთან და გაფორმებული აქვთ ხელშეკრულებები.

ბროკერების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მათი მხრიდან გადამზღვეველი კომპანიისთვის მიმართვა ხორციელდება ადგილობრივი სადაზღვევო კომპანიისგან შესაბამისი მოთხოვნის შესვლის შემდგომ. ამ პროცედურისთვის საჭიროა, რომ ჰქონდეთ რისკის შეფასებისთვის აუცილებელი ინფორმაცია. პროცესის სირთულე და ხანგრძლივობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, როგორიცაა: რისკის სიდიდე, სირთულე, მოწოდებული

ინფორმაციის ხარისხი. როგორც წესი, წინასწარ მიწოდებული ინფორმაციის შემდეგ გადამზღვეველი კომპანია ითხოვს დაზუსტებას, დამატებით ინფორმაციას. ამასთან, თუ გადამზღვეველ კომპანიას უკვე აქვს გაცემული თანხმობა რომელიმე საბროკერო ან სადაზღვევო კომპანიაზე, სხვა ბროკერი აღნიშნული კომპანიის დასტურს ვეღარ მოიპოვებს.

რაც შეეხება კონკრეტულ ვადებს - თუ რამდენად საკმარისია ტენდერში მითითებული ვადა გადამზღვეველი კომპანიის თანხმობის მოსაპოვებლად, გამოკითხული 14 საბროკერო კომპანიიდან 7-მა მათგანმა არ დააფიქსირა პოზიცია აღნიშნულ საკითხე, 5 მათგანის პოზიციით, ეს ვადა სრულიად საკმარისია, ხოლო 2 კომპანია აღნიშნავს, რომ რისკის არასტანდარტული ხასიათიდან გამომდინარე, რთული და ხანდახან ფაქტობრივად შეუძლებელიც არის გადამზღვეველისგან თანხმობის წერილის მიღება შემჭიდროვებულ ვადებში, რადგან მსგავსი რისკი მიეკუთვნება იმ კატეგორიას, რომელზეც გადამზღვეველისგან თანხმობის მიღების პროცესი შესაძლოა 1 თვეზე მეტი პერიოდი გაგრძელდეს.

2.2.2. საბროკერო კომპანიის მიერ გაცემული წერილის ფორმა

14 საბროკერო კომპანიისგან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, იდენტიფიცირდა შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ გამოცხადებული NAT210008212 შესყიდვის (ასევე, ანალოგიური მომსახურებების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერების) ფარგლებში, კომპანიების მიერ რა სახის წერილი გაიცემა პრეტენდენტზე - კონკრეტულად ხდება გადამზღვეველი კომპანიების მითითება, რომლებთანაც აქვთ მოლაპარაკებები თუ ზოგადად, უთითებენ სავარაუდო გადამზღვეველი კომპანიების დასახელებებს.

6 კომპანიის პოზიციის მიხედვით, გადაზღვევის დამადასტურებელი წერილის გაცემამდე, სადაზღვევო ბროკერს აუცილებლად უნდა ჰქონდეს თანხმობა კონკრეტული გადამზღვეველი კომპანიისგან რისკში მონაწილეობის შესახებ. ბროკერი გასცემს წერილს, რომელშიც მითითებულია კონკრეტული გადამზღვეველი და მისი შესაბამისი მონაწილეობა რისკში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბროკერი იძლევა ზოგად დაპირებას, რომ იმუშავებს სხვადასხვა გადამზღვეველთან, თუმცა კონკრეტული პირობები ჯერ არ გააჩნია. სატენდერო პირობების შესაბამისად, თუ მოთხოვნილია გადაზღვევის დამადასტურებელი წერილი, აუცილებლად უნდა იყოს მითითებული კონკრეტული კომპანია და მისი პოზიცია, თუ რა ოდენობით რისკის ასაღებადაა იგი მზად.

2 კომპანიის პოზიციით, მათ მიერ პრეტენდენტზე გაიცემა სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად მოთხოვნილი შინაარსის წერილი, გადამზღვეველის ან/და მხოლოდ რეიტინგის მიხედვით. აღნიშნული დამოკიდებულია სატენდერო პირობებზე.

შპს „სადაზღვევო ბროკერი ნიკოლოზ ჯგუფის" პოზიციით, მსგავსი წერილის გაცემის შემთხვევაში შეიძლება მიეთითოს სავარაუდო გადამზღვეველი კომპანიების დასახელებები (ან სადაზღვევო ბაზრები) და პირობა, რომ ბროკერი შეეცდება უზრუნველყოს რისკის გადაზღვევა მაღალი რეპუტაციის მქონე გადამზღვეველ კომპანიებთან. ხოლო, შპს

„რეზოლუშენ ინშუარანს ბროუქერს საქართველო" აღნიშნავს, რომ მსგავს ტენდერში წერილის წარდგენის პრაქტიკა არ აქვთ, თუმცა მათი პოზიციით, შესაძელებელია როგორც კონკრეტული გადამზღვეველი კომპანიის მითითება, ასევე, სავარაუდო გადამზღვეველი კომპანიების დასახელება. აღნიშნული დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის ტექნიკური ინფორმაცია და დოკუმენტაცია არის მიწოდებული შემსყიდველის მიერ და რამდენად საკმარისია კონკრეტული გადამზღვეველისგან თანხმობის მისაღებად, ასევე როგორი ვადებია დადგენილი პირობების მოსაძიებლად.

გამოკითხული 14 საბროკერო კომპანიიდან ოთხმა კომპანიამ თავი შეიკავა პოზიციის დაფიქსირებისგან. აქედან სამმა შესაბამის მიზეზად დაასახელა ის ფაქტი, რომ არ ახორციელებს გადაზღვევის საქმიანობას და ოპერირებს მხოლოდ ქვეყნის შიდა ბაზარზე.

დიაგრამა N5



თავი IV. სამოტივაციო ნაწილი

ნაწილი 1. შესავალი

სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“ მის მიერ წარმოდგენილ საჩივარში (რეგ. N01/860) აპელირებს შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის (NAT210008212) ფარგლებში დაწესებულ არაკონკურენტულ სატენდერო

პირობებზე, რის შედეგადაც, მომჩივანის პოზიციით, მოპასუხე არღვევს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლს. კერძოდ, სადავო სატენდერო პირობებს წარმოადგენს:

ა) სატენდერო დოკუმენტაციის 2.8.1 პუნქტში მითითებული პირობა - სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის სადაზღვევო რისკის 100%-ით გადაზღვევის შესახებ, რომელიც წერილობით დადასტურებული უნდა იყოს გადამზღვეველი კომპანი(ებ)ის მიერ (საბროკერო კომპანიის/ბროკერის წერილის არ მიღება);

ბ) სატენდერო დოკუმენტაციის 2.8.1 პუნქტში მითითებული გადამზღვეველი კომპანიის მიერ გაცემული დასტური წარდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ტენდერისთვის სტატუსის „წინანადების მიღება დაწყებულია“ ეტაპზე;

გ) აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის (NAT210008212) იმგვარად გამოცხადება, რომ ერთ ლოტად არის გაერთიანებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ქონების, ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევა.

შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების შესახებ ინფორმაციის მიღების და ბაზრის ზოგადი სურათის შექმნის მიზნით, სააგენტოს მიერ მოძიებულ იქნა ინფორმაცია 2017 წლის 01 იანვრიდან, მოკვლევის დაწყებამდე, კერძოდ, მიმდინარე წლის 26 ივლისამდე პერიოდში ჩატარებული ტენდერების შესახებ. კერძოდ, შპს „საქაერონავიგაციას“, 66500000 შემსყიდველი კატეგორიით (სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები), გამოცხადებული აქვს 11 (თერთმეტი) ელექტრონული ტენდერი შესყიდვის ობიექტის შემდეგი კლასიფიკატორის კოდებით: 66500000 - სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები; 66511000 - სიცოცხლის დაზღვევა; 66512200 - ჯანმრთელობის დაზღვევა; 66515200 - ქონების დაზღვევა; 66516000 - სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა.

მათ შორისაა 10 (ათი) ტენდერი, სტატუსით „ხელშეკრულება დადებულია“ (NAT210008212; NAT200017828; NAT190004504; NAT180019243; NAT180013285; NAT180005790; NAT180000764; NAT170012705; NAT170004172; NAT170001889), ხოლო ერთი ტენდერი, სტატუსით - „შეწყვეტილია“. ეს უკანასკნელი წარმოადგენს 2021 წლის 16 მარტის NAT210004878 ელექტრონულ ტენდერში სს „ნიუ ვიჟენ დაზღვევის“ მიერ წარდგენილი DET210004878_02(NAT) საჩივრის შედეგად, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს 2021 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებისა და შპს „საქაერონავიგაციის“ შესაბამისი სატენდერო კომისიის 05/05/21 წლის სხდომის ოქმის საფუძველზე შეწყვეტილ ტენდერს.

აღნიშნულ ტენდერებში მონაწილეობას იღებდა ექვსი სადაზღვევო კომპანია, კერძოდ, სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯია“; სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“, სს „სადაზღვევო კომპანია ალფა“, სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“, სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“ და სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“. აქედან, 2017 წელს, ერთ ტენდერში - NAT170012705 - გაიმარჯვა სს „რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია გლობალ ბენეფიტს ჯორჯიამ“, ტენდერის საბოლოო ღირებულება იყო 24012 ლარი. თუმცა, აღნიშნული ტენდერი არ ითვალისწინებდა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას და შესაბამისად, არ იყო მოთხოვნილი

გადაზღვევის პირობა. 2017 წელს გამოცხადებულ NAT170004172 ტენდერში გაიმარჯვა სს „სადაზღვევო კომპანია ალფამ“ - ტენდერის საბოლოო ღირებულებით 63999 ლარი. NAT170004172 ტენდერი დაზღვევის სხვა სახეობებთან ერთად, გამოცხადებული იყო ავიახომალდებთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის შესყიდვის მიზნითაც და ამ ტენდერშიც წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო უშუალოდ გადამზღვეველი კომპანიის მიერ დადასტურებული წერილი.

ხოლო დანარჩენ რვა ტენდერში გამარჯვებულად გვევლინება სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“, საიდანაც 7 მათგანი ითვალისწინებდა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას 100%-ით გადაზღვევის სავალდებულო პირობითა და მხოლოდ უშუალოდ გადამზღვეველი კომპანიის წერილის წარმოდგენის მოთხოვნით. ხოლო, ერთი ტენდერი - NAT180013285 - გამოცხადებული იყო ტრანსპორტთან დაკავშირებული სადაზღვევო მომსახურებების შესყიდვის მიზნით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოთხ ტენდერში სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ კონკურენტის გარეშე იყო წარმოდგენილი, აქედან ორი ტენდერში საწყისი ფასით, ბიჯის გარეშე გამოცხადდა გამარჯვებულად, კერძოდ, NAT210008212 ტენდერში - 3272297 ლარით და NAT190004504 ტენდერში - 5482000 ლარით. დანარჩენ ორ ტენდერში მოხდა ფასის კლება - კერძოდ, NAT200017828 ტენდერში საწყისი ღირებულება შეადგენდა 384307 ლარს, ხოლო საბოლოო 379500 ლარს, ხოლო NAT180019243 ტენდერში საწყისი ფასი შეადგენდა 261000 ლარს, ხოლო საბოლოო ფასმა შეადგინა - 258000 ლარი.

სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ მიერ მოგებული რვა ტენდერის საერთო საწყისი ღირებულება 14 809 165 ლარს შეადგენდა, ხოლო ტენდერის საბოლოო ღირებულებამ 14 217 472 ლარი შეადგინა. სს „საქაერონავიგაციის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვებში დაზოგილი თანხა აღნიშნულ პერიოდში 591 693 ლარს შეადგენს, რაც ერთიანი საწყისი თანხის 3,99%-ია.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევასთან დაკავშირებული, შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ გამოცხადებული სხვა ტენდერებიც ითვალისწინებს სადავო სატენდერო პირობებს. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საჩივარი წარმოდგენილია 2021 წლის 6 მაისს გამოცხადებულ - NAT210008212 ტენდერზე, სააგენტოს მიერ თითოეული სადავო ფაქტობრივი გარემოება შეფასდება კონკრეტულად ამ ტენდერის ფარგლებში.

ნაწილი 2. სააგენტოს შეფასება

სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“ დაზუსტებულ საჩივარში (რეგ. N01/860) აპელირებს შპს „საქაერონავიგაციის“ მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ და არ უთითებს ნორმის კონკრეტულ შემადგენლობას. თავის მხრივ, კანონის მე-10 მუხლი ითვალისწინებს იმ სპეციალურ ქმედებებს, რომელთა განხორციელებაც, კანონმდებლობით გათვალისწინებული

შემთხვევების გარდა, ეკრძალებათ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოებსა და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს.

სააგენტოს პოზიციით, მომჩივანის მიერ საჩივარში დასმული სადავო ფაქტობრივი გარემოებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, შესაძლოა ექცეოდეს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტის შემადგენლობაში. კერძოდ:

ა) მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაუშვებელია ეკონომიკური აგენტის ეკონომიკური საქმიანობის ან/და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაუშვებელია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ეკონომიკურ აგენტს დომინანტურ მდგომარეობას უქმნის, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ ფასწარმოქმნასა და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ამდენად, სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის“ მიერ საჩივარში მითითებული სადავო გარემოებების ანალიზი სააგენტომ განახორციელა სწორედ კანონის მე-10 მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევის არსებობა/არარსებობის შეფასების კუთხით.

თავის მხრივ, იმისათვის, რომ სახეზე იყოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების დარღვევა, აუცილებელია კუმულატიურად არსებობდეს ორი პირობა:

ა) მოპასუხე უნდა წარმოადგენდეს კანონის მე-10 მუხლის სპეციალურ სუბიექტს;

ბ) სახეზე უნდა იყოს იმგვარი კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც აკმაყოფილებს ნორმის შემადგენლობას.

ა) მოპასუხე, როგორც კანონის მე-10 მუხლის სუბიექტი

აღსანიშნავია, რომ მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია კანონის მე-10 მუხლის სუბიექტად ყოფნისა და მის მიერ განხორციელებული ქმედების - სატენდერო მოთხოვნების ჩამოყალიბების - პროცესში მისი, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოდ მოქმედების ფაქტი. მიუხედავად აღნიშნულისა, სააგენტომ მაინც იმსჯელა შპს „საქაერონავიგაციის“ კანონის მე-10 მუხლის სპეციალურ სუბიექტად მიჩნევის შესახებ.

კანონის მე-10 მუხლის სპეციალურ სუბიექტებს წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოები და სხვა ადმინისტრაციული ორგანოები. შესაბამისად, მოპასუხე ჩაითვლება ამ მუხლის სუბიექტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი წარმოადგენს დასახელებული ორგანოებიდან ერთ-ერთს.

ა.ა) ზოგადი ინფორმაცია შპს „საქაერონავიგაციის“ შესახებ

შპს „საქაერონავიგაცია“ „მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც ფუნქციონირებს 1999 წლიდან. შპს „საქაერონავიგაცია“ საქართველოს საჰაერო სივრცეში და თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, მესტიის და ამბროლაურის აეროდრომებზე სააერნაოსნო მომსახურებას უწევს საჰაერო სივრცის მომხმარებლებს. შპს „საქაერონავიგაცია“ სსიპ - საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ სერთიფიცირებული ერთადერთი კომპანიაა საქართველოში, რომელიც ლიცენზირებული ავიამეთვალყურეებისა და ბრიფინგ და მეტეო ოფიცრების მეშვეობით ახორციელებს საჰაერო მოძრაობის მართვის, სააერნაოსნო ინფორმაციისა და მეტეოროლოგიურ მომსახურებას.

უფრო ზუსტად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბიზნესის რეესტრში შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ 2019 წლის 17 იანვარს წარდგენილი განახლებული წესდების[56] მე-3 მუხლის მიხედვით, კომპანია ახორციელებს საქმიანობას შემდეგი მიმართულებებით:

ა) საქართველოს საჰაერო სივრცეში საჰაერო ხომალდების მოძრაობის მართვა;

ბ) საქართველოს საჰაერო საფრენოსნო რაიონში, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, მესტიისა და ამბროულარის აეროპორტებში სააერნაოსნო და ინფორმაციული მომსახურება;

გ) საქართველოს საჰაერო სივრცეში და საქართველოს აეროპორტებში ავიაკომპანიების მეტეოროლოგიური ინფორმაციით მომსახურება.

შპს „საქაერონავიგაცია“ თვითდაფინანსებით აგენერირებს საკუთარ შემოსავლებს და არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

შპს „საქაერონავიგაციის“ მისიაა საქართველოს საჰაერო სივრცეში უსაფრთხო ფრენების უზრუნველყოფა მსოფლიო საჰაერო ტრანსპორტის დინამიური განვითარების პირობებში. კომპანიის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა და საჰაერო მოძრაობის ორგანიზების პროცესში საავიაციო შემთხვევებისა და ინციდენტების გამომწვევი რისკფაქტორების შემცირება.[57]

შპს „საქაერონავიგაცია“ ახორციელებს შემდეგ სერვისებს: საჰაერო ხომალდების მართვა საქართველოს საჰაერო სივრცეში, საფრენოსნო-საინფორმაციო მომსახურება(FIS/AFIS), სააერნაოსნო ინფორმაციული მომსახურება (AIS), საავარიო შეტყობინების უზრუნველყოფა, საჰაერო სივრცის ორგანიზება, კავშირგაბმულობის მომსახურება, სანავიგაციო მომსახურება,

---

[56]იხ. https://www.my.gov.ge/ka-ge/services/6/service/179

[57]შპს „საქაერონავიგაციის“ 2018 წლის მმართველობითი ანგარიში, გვ. 6, ხელმისაწვდომია: https://airnav.ge/storage/files/doc/%E1%83%A8%E1%83%9E%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%92%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%202018%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98.pdf

რადიოსალოკაციო მომსახურება, მეტეოროლოგიური მომსახურება, ფრენების შუქ-ტექნიკური მომსახურება, ძებნა-შველის კოორდინაცია (ARCC).

რაც შეეხება, მომსახურების გეოგრაფიული არეალს (FIR), შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ კონტროლირებადი საფრენოსნო საინფორმაციო არეალი 89 300 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს და მოიცავს:

- ქვეყნის სახმელეთო ტერიტორიას;
- სახელმწიფო ტერიტორიულ წყლებს;
- შავი ზღვის აკვატორიაში არსებულ „ნეიტრალური წყლების“ ნაწილს.[58]

საქაერონავიგაციის მმართველობით ორგანოებია პარტნიორთა კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორატი (გენერალური დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორი).[59]

კომპანიის საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო და პარტნიორთა კრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და კომპანიის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

კომპანიის პარტნიორის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სახელმწიფოს ქონების ეროვნული სააგენტო, რომელიც ზედამხედველობას უზრუნველყოფს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და კომპანიის წესდების შესაბამისად.

პარტნიორთა კრება კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანოა. პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებებს იღებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებად ითვლება პარტნიორის - სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილობითი გადაწყვეტილება, რომელიც კრების ოქმის ტოლფასია. სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო შედის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში, რომელიც, სხვა ფუნქციებთან ერთად, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მართვასთან დაკავშირებულ უფლებამოსილებას ახორციელებს.[60]

რაც შეეხება სამეთვალყურეო საბჭოს, საბჭო შედგება 4 (ოთხი) წევრისგან და მის შემადგენლობას განსაზღვრავს პარტნიორთა კრება, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით.[61] საჯარო რეესტრის მიერ გაცემულ უახლესი, 2021 წლის 16 სექტემბრის ამონაწერის მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭოში შედიან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ფინანსთა, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრების მოადგილეები.

კომპანიას ჰყავს დირექტორატი, რომელიც შედგება გენერალური და აღმასრულებელი დირექტორისაგან. პარტნიორთან შეთანხმებით, გენერალურ და აღმასრულებელ დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო.[62]

---

[58] იქვე.
[59] შპს „საქაერონავიგაციის“ წესდების მე-6 მუხლი
[60] შპს „საქაერონავიგაციის“ 2018 წლის მმართველობითი ანგარიში, გვ.7
[61] შპს „საქაერონავიგაციის“ წესდების მე-8 მუხლი
[62] იქვე, მე-9 მუხლი

საქაერონავიგაციის საქმიანობის რეგულირებას და ზედამხედველობას, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.

ა.ბ) შპს „საქაერონავიგაცია“ როგორც ადმინისტრაციული ორგანო

როგორც უკვე აღინიშნა, შპს „საქაერონავიგაცია“ წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს და არ ექცევა კანონის მე-10 მუხლის სპეციალურ სუბიექტად მიჩნეულ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან მუნიციპალიტეტის ორგანოების საკანონმდებლო დეფინიციაში. ამდენად, იმის განსასაზღვრად, არის თუ არა მოპასუხე კანონის მე-10 მუხლის სუბიექტი, უნდა გაანალიზდეს, წარმოადგენს თუ არა იგი ადმინისტრაციულ ორგანოს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს „ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს“. ამ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. სასამართლომ, №ბს-381-370 (კ-13) საქმეზე, 2014 წლის 21 იანვარს მიღებულ გადაწყვეტილებაში, განმარტა, თუ რას გულისხმობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა” ქვეპუნქტით განმარტებული „ადმინისტრაციული ორგანო”. სასამართლომ აღნიშნა, რომ „*ადმინისტრაციული ორგანოს ცნების ლეგალური დეფინიცია ორი ნაწილისგან შედგება. დეფინიციის პირველი ნაწილი მოიცავს ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს, აგრეთვე – საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, როდესაც ეს სუბიექტები ასრულებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს, ისინი წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გაგებით. არსებითი არ არის ხელისუფლების რომელი შტოს სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ესა თუ ის ორგანო, არამედ მნიშვნელოვანია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რა ფუნქციის განხორციელება გულისხმობს საქმიანობას, რომელიც არ არის კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელება, პოლიტიკური გადაწყვეტილებები, საეკლესიო საქმიანობა, კანონშემოქმედება და მართლმსაჯულება. ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონალური გაგება, რომელიც ცნების დეფინიციის მეორე ნაწილშია მოცემული, აერთიანებს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც არ არიან სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა სისტემის სუბიექტები, მაგრამ კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებებს და ამ მიზნით გამოსცემენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. „ნებისმიერ სხვა პირში“ იგულისხმება როგორც კერძო სამართლის არაკომერციული იურიდიული პირები, ასევე საწარმოები (მაგ. შპს, სს), კერძო სამართლის იურიდიულ პირს საჯარო სამართლებრივი*

უფლებამოსილება შეიძლება დაეკისროს დელეგირებით ანუ სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ უფლებამოსილების გადაცემის საფუძველზე. კერძო სამართლის იურიდიული პირები არ არიან უფლებამოსილი გამოიყენონ საქმიანობის საჯარო-სამართლებრივი ფორმები, თუმცა კანონის საფუძველზე სახელმწიფოს შეუძლია აღჭურვოს ეს პირები საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებით, თუ იგი მოითხოვს რაიმე სპეციალურ ცოდნას. სწორედ საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში კერძო სამართლის იურიდიული პირები განიხილებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად და ამ დროს არიან ვალდებულნი მიიღონ გადაწყვეტილებები ან განახორციელონ ქმედებები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით"[63].

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვა არის ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა ამავე კანონით განსაზღვრული სახსრებით - რომელთა შორისაც არის იმ საწარმოს სახსრებით განხორციელებული შესყიდვა, რომლის აქციათა ან წილის 50%-ზე მეტს ფლობს სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები. თავის მხრივ, სახელმწიფო შესყიდვების რეგულირება ემსახურება შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის დაცვას.

ამდენად, კანონი სახელმწიფო შესყიდვად აკვალიფიცირებს და ერთგვარ სპეციალურ რეგულირებას უქვემდებარებს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საწარმოების მიერ განხორციელებულ შესყიდვებსაც. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად. თავის მხრივ, სახელმწიფო, კერძო სამართლის იურიდიული პირის დამოუკიდებლობის გათვალისწინებით, ვერ ჩაერევა მისი სახსრების განკარგვაში ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის დაცვის არგუმენტით იქამდე, სანამ აღნიშნული პირი იმ კონკრეტული სამართალურთიერთობის მიზნებისათვის არ იქნება მიჩნეული არა კერძო სამართლის სუბიექტად, არამედ, საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ პირად. ამდენად, სახელმწიფო შესყიდვების პროცესში, ის სუბიექტები, რომელთა სახსრების განკარგვის რეგულირებასაც სავალდებულო წესით ახდენს ეს სპეციალური კანონი და რომელთა მიერ განხორციელებულ შესყიდვასაც მიიჩნევს სახელმწიფო შესყიდვად, სწორედ ამ შესყიდვის მიზნებისთვის არიან მიჩნეულები საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ პირებად.

შპს „საქაერონავიგაციამ", როგორც სახელმწიფოს მიერ 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულმა საწარმომ, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის, ქონების,

---

[63] ალეკო ნაჭყებია „ადმინისტრაციულსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2005-2014)", 2015, 5

თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის მომსახურებების შესყიდვის მიზნით აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერი (NAT210008212) გამოაცხადა „შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით და მის მიერ ამ მომსახურებების შესყიდვა წარმოადგენდა სახელმწიფო შესყიდვას. ამდენად, მოპასუხე, სახელმწიფო შესყიდვების პროცესში მოქმედებდა როგორც საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი პირი - ადმინისტრაციული ორგანო და მისი ამ სტატუსის გათვალისწინებით, სადავო სამართალურთიერთობის ფარგლებში, მისი მიჩნევა უნდა განხორციელდეს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სპეციალურ სუბიექტად.

ბ) ქმედება

ბ.ა) სატენდერო დოკუმენტაციის 2.8.1 პუნქტში მითითებული პირობა - სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის სადაზღვევო რისკის 100%-ით გადაზღვევის შესახებ, რომელიც წერილობით დადასტურებული უნდა იყოს გადამზღვეველი კომპანი(ებ)ის მიერ (საბროკერო კომპანიის/ბროკერის წერილის არ მიღება);

ბ.ა.ა) კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის 30-ე მუხლი განამტკიცებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აღნიშნული ვალდებულებით სახელმწიფო მხარს უჭერს თავისუფალი ეკონომიკის პრინციპს, რომელშიც მეწარმეობის ასპარეზია თავისუფალი. სასამართლო მიუთითებს, რომ მეწარმეობისადმი სახელმწიფოს მხარდაჭერა არ გულისხმობს მხოლოდ ინსტიტუციურად ამ საქმიანობის თავისუფლების ნორმატიულ აღიარებას. სახელმწიფო ვალდებულია შექმნას ისეთი ნორმატიული გარემო, რომელიც წაახალისებს და ბაზრიდან არ განდევნის სიცოცხლისუნარიან სუბიექტებს.[64] სააგენტო განმარტავს, რომ სახელმწიფოს სწორედ აღნიშნული ვალდებულების შესრულებას ისახავს მიზნად კანონის მე-10 მუხლი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოებს და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს უკრძალავს ისეთი ქმედებების განხორციელებას, რომელიც ხელს უშლის თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას.

კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, მისი მიზანია სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების

---

[64] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის N1/2/411 გადაწყვეტილება, § 2-3. 28

დაუშვებლობა. გარდა ამისა, იგი ასევე ემსახურება ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფას, ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობას, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვას და ა.შ. სწორედ აღნიშნულ მიზნებთან შესაბამისობაში უნდა მოხდეს კანონის მე-10 მუხლის თითოეული დებულების ინტერპრეტაცია, ვინაიდან კანონის ეს მუხლი პირდაპირ არის მიმართული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ და მხოლოდ აქ არის თავმოყრილი ამ ორგანოებისათვის აკრძალულ ქმედებათა ფართო სპექტრი. შესაბამისად, ეკონომიკური აგენტის ეკონომიკური საქმიანობის შეფერხებად უნდა დაკვალიფიცირდეს სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოების და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ნებისმიერი სახის ისეთი ქმედება, რომელიც ეკონომიკურ აგენტს უქმნის შესაბამის ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციულ, სამართლებრივ და/ან დისკრიმინაციულ ბარიერს/ბარიერებს, არამართლზომიერად ზღუდავს ეკონომიკურ აგენეტებს შორის კონკურენციას ან ეწინააღმდეგება ეკონომიკურ აგენტებს შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპს და ა.შ.

მიმდინარე მოკვლევის მიზნებისთვის, შესაბამის ბაზარს წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის, ქონების, თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის მომსახურებების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი (NAT210008212). თავის მხრივ, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერების განსაზღვრისას ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, თუ რამდენად შესწევს უნარი კონკრეტულ ქმედებასა თუ გარემოებას, მოახდინოს ამ ბაზარზე რომელიმე ეკონომიკური აგენტის შესვლის სრული ან ნაწილობრივი შეზღუდვა.

შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის (NAT210008212) სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილია პირობა სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის სადაზღვევო რისკის 100%-ით გადაზღვევის შესახებ, რომელიც წერილობით დადასტურებული უნდა იყოს გადამზღვეველი კომპანი(ებ)ის მიერ (საბროკერო კომპანიის/ბროკერის წერილი არ მიიღება). წერილში მითითებული უნდა იყოს გადამზღვეველი კომპანი(ებ)ის წილობრივი მონაწილეობა სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში. გადამზღვეველი კომპანია რეგისტრირებული უნდა იყოს ეგთო-ს (ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OECD)) წევრ ქვეყანაში და მას უნდა გააჩნდეს ერთ-ერთი ქვემოთ აღნიშნული საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს შეფასება და რომელიმე მათგანის მიერ მინიჭებული მინიმალური რეიტინგი, არანაკლებ: Standard&Poor's: A-, A.M. Best: A-, Fitch: A- ან Moody's: A3.

ამდენად, გამომდინარე იქიდან, რომ შესაბამის ბაზარზე შესასვლელად, პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს გადამზღვეველი კომპანიის თანხმობის მოპოვება, სააგენტოს მიერ შეფასდა, რამდენად წარმოადგენს ეს მოთხოვნა ბარიერს სადაზღვევო კომპანიებისათვის. ასევე, რა არის შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესი მსგავსი სატენდერო პირობის ჩადებისა და საბროკერო კომპანიის წერილის მიუღებლობის დროს.

როგორც საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, საქართველოში რეგისტრირებულია და საქმიანობის უფლება მინიჭებული აქვს 18 სადაზღვევო კომპანიას, რომლებიც ფლობენ როგორც სიცოცხლის დაზღვევის, ასევე, დაზღვევის (არა სიცოცხლის) ლიცენზიას. თავის მხრივ, დაზღვევის კანონმდებლობის ანალიზისა და უშუალოდ სადაზღვევო კომპანიებისგან მიღებული პოზიციებით დადგინდა, რომ შპს „საქაერონავიგაციის" მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის ფარგლებში არსებულ სადაზღვევო რისკს, გადაზღვევის გარეშე, ვერ აიღებდა ვერც ერთი სადაზღვევო კომპანია, გამომდინარე იქიდან, რომ სადავო ტენდერის ფარგლებში, პასუხისმგებლობის დაზღვევის ლიმიტი აღემატება საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების კაპიტალის თანაფარდობით განსაზღვრულ შესაძლებლობებს. ამდენად, გადამზღვეველი კომპანიის ჩართულობა რისკის გადაზღვევის უზრუნველსაყოფად არის აუცილებელი შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარებისთვის.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რისკის გადაზღვევა წარმოადგენს აუცილებელ ელემენტს, სააგენტოს მიერ შეფასდა, რამდენად მიზანშეწონილია უშუალოდ გადამზღვევლი კომპანიის დასტურის წარდგენა ტენდერში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად და არის თუ არა საბროკერო კომპანიის მიერ გაცემული წერილი მისი სრულფასოვანი ალტერნატივა.

როგორც სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის, ასევე, საბროკერო კომპანიებისგან მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სადაზღვევო ბროკერი არის დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განმახორციელებელი პირი, რომელიც მისი სპეციალური საქმიანობის ფარგლებში (მაგ: შეთავაზებების გაკეთება დაზღვევის/გადაზღვევის ხელშეკრულებების დასადებად, მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება და სხვ.) ერთგვარ შუალედურ რგოლს წარმოადგენს მხარეთა შორის მოლაპარაკებების პროცესში. ქართული კანონმდებლობის მიხედვით, სადაზღვევო ბროკერის რეგისტრაციას ახორციელებს სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური და მისი ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის საფუძველია მისი კაპიტალი/საგარანტიო ფონდი და პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა. თავის მხრივ, სადაზღვევო ბროკერის მზღვეველთან/დამზღვევთან/გადამზღვეველ კომპანიასთან ურთიერთობა რეგულირდება მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით.

როგორც საქმის მოკვლევის პროცესში სადაზღვევო/საბროკერო კომპანიების და სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ მიღებული ინფორმაციით დადგინდა, ძირითად შემთხვევაში, ბროკერი გასცემს წერილს, რომელშიც მითითებულია კონკრეტული გადამზღვეველი და მისი შესაბამისი პროცენტული მონაწილეობა რისკში, თუმცა, აღნიშნული წერილი არ არის ხელმოწერილი უშუალოდ გადამზღვეველი კომპანიების მიერ და აქვს მხოლოდ ბროკერის ხელმოწერა. ამდენად, ბროკერის მიერ გაცემულ წერილში მითითებულია, რომ ბროკერი აწარმოებს მოლაპარაკებებს კონკრეტულ გადამზღვეველ კომპანიებთან, მათგან აქვს მიღებული პირველადი თანხმობა რისკში მონაწილეობაზე, თუმცა, ეს თანხმობა არ არის საბოლოოდ დადასტურებული და წილობრივი მონაწილეობა შეიძლება შეიცვალოს. სადაზღვევო კომპანიების განმარტებით, საბროკერო კომპანია, მისი რეპუტაციის გათვალისწინებით, არ მიუთითებს წერილში ინფორმაციას ისეთი

გადამზღვეველი კომპანიების შესახებ, რომლებიც არ არიან დაინტერესებული რისკის აღებით და სწორედ აქედან გამომდინარე, აღნიშნული ფორმის წერილი საკმარისია ტენდერის საწყისი ეტაპისთვის. ამასთან, მომჩივანის განმარტებით, უშუალოდ გადამზღვეველი კომპანიის მიერ გაცემული დასტურიც არ არის საბოლოო და თეორიულად არაა გამორიცხული, რომ გადამზღვეველმა კომპანიამაც თქვას უარის რისკის აღებაზე ტენდერის დასრულებამდე. შესაბამისად, ფაქტობრივად, არ განსხვავდება საბროკერო კომპანიის მიერ გაცემული წერილი და გადამზღვეველი კომპანიის დასტური, რადგან არც ერთი არ არის სამართლებრივი ძალის მქონე.[65]

მეორე მხრივ, სსიპ - დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის პოზიციით, ბროკერის მიერ სადაზღვევო რისკის სამომავლო გადაზღვევასთან დაკავშირებით წინასწარ გაცემული თანხმობა შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს უშუალოდ გადამზღვეველის მიერ სადაზღვევო რისკთან მიმართებით გადაზღვევის ვალდებულების გაცხადებული თანხმობის სრულფასოვან ალტერნატივად იმ შემთხვევაში, თუ ბროკერის წერილს ახლავს შესაბამისი გადამზღვეველი კომპანიის/კომპანიების დასტური. ანალოგიური მოსაზრება აქვს მოპასუხეს, ამასთან, მისი განმარტებით, 2017 წელს ადგილი ჰქონდა შემთხვევას, როდესაც პრეტენდეტმა წარადგინა საბროკერო კომპანიის მიერ გაცემული წერილი, სადაც მითითებული იყო კონკრეტული გადამზღვეველი კომპანიის წილობრივი მონაწილეობის შესახებ, თუმცა, როდესაც შერჩევა-შეფასების ეტაპზე გადამოწმდა ინფორმაცია, გადამზღვეველმა კომპანიამ განაცხადა, რომ არ იყო საქმის კურსში აღნიშნულის თაობაზე და არ ჰქონდა გაცემული შესაბამისი თანხმობა.

რაც შეეხება გადაზღვევის ინდუსტრიას, იგი შედგება ორი ძირითადი საბაზრო კომპონენტისგან - პირდაპირი გადაზღვევის ბაზრისა და ბროკერის მეშვეობით გადაზღვევის ბაზრისგან. პირველში შედის იმ პროფესიონალ გადამზღვეველთა მცირე რაოდენობა, რომელიც უშუალოდ აწარმოებს მოლაპარაკებებს მზღვეველ(ებ)თან და დებს გადაზღვევის ხელშეკრულებას, ხოლო მეორეში - სხვადასხვა ზომის გადამზღვეველი კომპანიების გაცილებით უფრო დიდი რაოდენობა, რომლებიც ოპერირებენ გადაზღვევის ბროკერების მეშვეობით.[66] კერძოდ, არსებობენ გადამზღვეველები, რომლებიც სადაზღვევო ბროკერის გარეშე პირდაპირ კონტაქტს არ ამყარებენ სადაზღვევო ორგანიზაციებთან - მაგალითად, ლოიდსის ბირჟაზე მოქმედი კომპანიები (ე.წ. სინდიკატები) ურთიერთობენ მხოლოდ ლოიდსის მიერ რეგისტრირებული ბროკერების მეშვეობით. შესაბამისად, სადაზღვევო კომპანია პირდაპირ, ლოიდსის ბროკერის ჩართულობის გარეშე ვერ განათავსებს რისკს ლოიდსის სინდიკატთან. სადაზღვევო კომპანიები გადამზღვეველებთან ურთიერთობას ამყარებენ როგორც პირდაპირ, ასევე, სადაზღვევო ბროკერების მეშვეობით, თუმცა, სპეციფიური რისკების (მაგ: საავიაციო) აღებით დაინტერესებული მაღალრეიტინგული კომპანიები ძირითადად თავმოყრილი არიან სწორედ ლოიდსის ბაზარზე და არ ხდება მათთან პირდაპირი კომუნიკაცია. ამასთან, უშუალოდ

---

[65] სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის“ 2021 წლის 21 ოქტომბრის ახსნა-განმარტის ოქმი N1

[66] სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2021 წლის 16 ივლისის №01/1115 წერილი

მომჩივანის განმარტებით, მთავარი პრობლემა ამ კონკრეტული ტენდერის ფარგლებში არის სწორედ მაღალი რისკი (საშუალოდ 5-10 გადამზღვეველ კომპანიას შორის მაინც უნდა განაწილდეს) და ამ სპეციფიური რისკის აღებით დაიტერესებულ კომპანიათა მცირე წრე. თავის მხრივ, სადაზღვევო კომპანიების ინფორმაციით, ეს ბაზარი მხოლოდ მას შემდეგ იხსნება პრეტენდეტისთვის, რაც იგი უკვე მოიპოვებს გამარჯვებას და გადამზღვეველ კომპანიას არ უწევს ჰიპოთეტური დასტურის გაცემა.

სააგენტო განმარტავს, რომ მოპასუხემ, საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ (CAA-A) ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად და ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრირების პროცესში, მიზანშეწონილია, მოახდინოს მისი სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა. მართალია, აღნიშნული ვალდებულება სრულად არ არის იმპლემენტირებული ქართულ კანონმდებლობაში, თუმცა, ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს ევროკომისიის რეგულაციების იმპლემენტაცია. ამასთან, მოკვლევის მიზნებისთვის, არ არის რელევანტური იმ საკითხზე მსჯელობა, მოპასუხის მიერ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა არის თუ არა სავალდებულო, გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული სუბიექტის უფლებას წარმოადგენს, მოახდინოს ამა თუ იმ პროდუქტის დაზღვევა - მით უფრო, გასათვალისწინებელია, რომ მოპასუხის საქმიანობის სფერო არის კომპლექსური და დაკავშირებულია არაერთ რისკთან. აღსანიშნავია, შპს „საქაერონავიგაცია“, როგორც სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმო, ვალდებულია დაზღვევის მომსახურება შეისყიდოს სწორედ სახელმწიფო ტენდერის მეშვეობით. თავის მხრივ, სახელმწიფო შესყიდვები არის კანონმდებლობის შესაბამისად რეგულირებული პროცესი, რომლის ფარგლებშიც, შემსყიდველი ორგანიზაცია, სავალდებულო წესით ითვალისწინებს შესაბამის რეგულაციებს, ვადებს და პროცედურულ ნორმებს, რაც აუცილებელია ამ პროცესის ორგანიზებისათვის. შესაბამისად, მის მიერ სატენდერო პირობები უნდა შემუშავდეს იმგვარად, რომ ერთი მხრივ, დაცული იყოს მისი, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის მიზნები/ინტერესები, ამ პროცესში მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ტენდერის ჩაშლის რისკები და მეორე მხრივ, საფრთხე არ შეექმნას ჯანსაღ კონკურენციას.

სადავო შემთხვევაში, რისკის მოცულობის გათვალისწინებით, რისკის გადაზღვევა არის აუცილებელი კომპონენტი მოპასუხის მიერ სადაზღვევო კომპანიასთან სახელშეკრულებო ურთიერთობის დასამყარებლად, რადგან ვერც ერთი ქართული კომპანია თავის თავზე ვერ აიღებს მსგავსი მოცულობის რისკს. გასათვალისწინებელია, რომ გადამზღვეველი კომპანიის ჩართულობის აუცილებლობას არ უარყოფს ბაზარზე მოქმედი არც ერთი სუბიექტი. ამდენად, შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესებში შედის, რომ ჰქონდეს ინფორმაცია ხელშეკრულების გასაფორმებლად აუცილებელი კომპონენტის თაობაზე იმ ეტაპზე, რაც, შესყიდვების კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებებიდან გამომდინარე, საფრთხეს არ შეუქმნის ტენდერის ჩატარებას და შემდგომში, გამარჯვებული კომპანიის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, სააგენტომ იმსჯელა, რამდენად ხელმისაწვდომია გადაზღვევის ბაზარი სადაზღვევო კომპანიებისთვის და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ

სატენდერო პირობები კრძალავს თუ არა ზოგადად ბროკერის ჩართულობას, რადგან გადამზღვეველი კომპანიების დიდი ნაწილი სადაზღვევო კომპანიებთან არ ამყარებს კომუნიკაციას სადაზღვევო ბროკერის გარეშე. საქმის მასალების ანალიზის, მოპასუხის[67], ასევე, სადაზღვევო/საბროკერო კომპანიების და სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისგან მიღებული მონაცემების შეჯერების შედეგად, იდენტიფიცირდა, რომ შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ შემუშავებული სატენდერო პირობის დაკმაყოფილება არ გამორიცხავს პროცესში სადაზღვევო ბროკერის ჩართულობას. სადაზღვევო კომპანია რა ფორმით დაამყარებს კონტაქტს გადამზღვეველთან - პირდაპირ თუ საბროკერო კომპანიის მეშვეობით, არ არის რელევანტური სააგენტოს მიერ საკითხის შეფასების პროცესში. გადამზღვეველ კომპანიასთან კომუნიკაციის მიზანი არის მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარება და შესაბამისი დასტურის მოპოვება. ამდენად, ეს მიზანი უშუალოდ სადაზღვევო კომპანიასთან კომუნიკაციის გზით მიიღწევა თუ ბროკერის ჩართულობის შედეგად, დამოკიდებულია ცალკეულ საქმეზე და გადამზღვეველი კომპანიის პოლიტიკაზე. გადამზღვეველი კომპანიების ბაზარი არის ცალკე მდგომი ბაზარი და მასზე მოქმედ სუბიექტებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლა, მოლაპარაკებების წარმოება, მათი საქართველოს რეგიონით და კონკრეტული რისკის აღებით დაინტერესება, სადაზღვევო კომპანიებს შეუძლიათ მათი ეფექტიანი ბიზნეს საქმიანობიდან გამომდინარე და საჭიროების შემთხვევაში, ამ პროცესში ბროკერის ჩართულობა არ არის გამორიცხული მოპასუხის მიერ შემუშავებული სატენდერო პირობებით.

რაც შეეხება კონკრეტულად წერილის ფორმას, კერძოდ, დასტური უნდა იყოს თუ არა გაცემული უშუალოდ გადამზღვეველი კომპანიის მიერ თუ საკმარისია ბროკერის წერილი - როგორც საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, ბროკერის წერილი შეიცავს ინფორმაციას იმ გადამზღვეველი კომპანიების შესახებ, რომლებიც მზად არიან აიღონ რისკი.[68] თავის მხრივ, გადამზღვეველი კომპანიების რისკში მონაწილეობა მითითებულია არა ჰიპოთეტურად, არამედ, შესაბამისი წინასწარი თანხმობა უკვე გაცემულია გადამზღვეველი კომპანიის მიერ, თუმცა - უშუალოდ საბროკერო კომპანიისთვის და მსგავსი წერილის მოპოვების პრობლემა არ აქვთ ბაზარზე მოქმედ კომპანიებს.[69] ამ საკითხთან მიმართებით, სააგენტო განმარტავს, რომ თუ საბროკერო კომპანიას აქვს უკვე შესაბამისი ინფორმაცია ამა თუ იმ გადამზღვეველი კომპანიის რისკში მონაწილეობაზე და ეს თანხმობა არ არის ჰიპოთეტური, მაშინ მნიშვნელოვან ბარიერს არ უნდა წარმოადგენდეს მის მიერ დამატებით, გადამზღვეველი კომპანიის დასტურის წერილის მოპოვებაც. მართალია, სამართლებრივად არც გადამზღვეველი კომპანიის მიერ გაცემული დასტური და არც საბროკერო კომპანიის მიერ გაცემული წერილი არ წარმოშობს რაიმე მბოჭავ ვალდებულებებს გადამზღვეველი კომპანიისთვის, თუმცა, უშუალოდ გადამზღვეველი კომპანიის მიერ გაცემულ დასტურს აქვს ნდობის უფრო მაღალი ხარისხი, გამომდინარე იქიდან, რომ გაცემულია უშუალოდ ხელშეკრულების გაფორმების მსურველი

[67] შპს "საქაერონავიგაციასთან" 2021 წლის 21 ოქტომბერს ჩატარებული ახსნა-განმარტების ოქმი N2

[68] სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის" 2021 წლის 21 ოქტომბრის ახსნა-განმარტის ოქმი N1, საბროკერო და სადაზღვევო კომპანიებისგან მიღებული ინფორმაცია. იხ. სქოლიო N45 და N51

[69] სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის" 2021 წლის 21 ოქტომბრის ახსნა-განმარტის ოქმი N1

მხარის და არა შუამავლის მიერ. მეორეს მხრივ, თუ დავუშვებთ რომ საბროკერო კომპანიის მიერ გაცემულ წერილში მითითებულია ისეთი კომპანიების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც არ არიან დაინტერესებული რისკის აღებით - ზიანდება შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესები. კერძოდ, მოპასუხეს, რომელიც ვალდებულია, რომ სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში, არ უნდა შეექმნას ტენდერის ჩაშლის საფრთხე - ეს კი სახეზე იქნება იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, „შერჩევა-შეფასების" ეტაპზე აღმოჩნდება, რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი თანხმობა ეჭვქვეშაა, მაშინ როდესაც, სატენდერო პირობებით მოთხოვილი გადამზღვეველი კომპანიის დასტურის მოპოვება ფორმალური ნაბიჯია - თუ დავუშვებთ, რომ რეალურია ბროკერის განმარტება და მის წერილში მითითებული კომპანიები მართლაც მზად არიან აიღონ რისკი. მეორეს მხრივ, თუ შემყიდველ ორგანიზაციასა და პრეტენდენტს შორის ხელშეკრულება გაფორმდება ისე, რომ შემსყიდველისთვის არ იქნება ცნობილი დაზუსტებული ინფორმაცია გადამზღვეველი კომპანიის შესახებ, ამ გარემოებამ შესაძლოა პრაქტიკაში შექმნას ისეთი ვითარება, რომ რეალურად ვერ მოხდეს გადამზღვეველი კომპანიის მოძიება და შემსყიდველი ორგანიზაცია დადგეს ტენდერის ჩაშლის აუცილებლობის წინაშე - რაც დამატებით სამართლებრივ, ტექნიკურ და ფაქტობრივ პრობლემებს შეუქმნის შემსყიდველ ორგანიზაციას.

ამდენად, სააგენტოს შეფასებით, **გამომდინარე იქიდან, რომ გადამზღვეველი კომპანიის მონაწილეობა აუცილებელია, რათა შემდგომში მოხდეს პრეტენდეტის მიერ ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულება - შემსყიდველ ორგანიზაციას ესაჭიროება მყარი გარანტიები სახელშეკრულებო ურთიერთობის დასადებად აუცილებელი გადაზღვევის ელემენტის შესახებ.** თავის მხრივ, გადაზღვევის ბაზარი არის ცალკე მდგომი და მასზე შესვლა ბიზნეს პარტნიორის მოძიების მიზნით, შესაძლებელია სადაზღვევო კომპანიების მიერ მათი ბიზნეს საქმიანობის ეფექტიანობის გათვალისწინებით (როგორც პირდაპირ, ასევე, ბროკერის მეშვეობით), შესაბამისად - არ იკვეთება შესაბამის ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციულ, სამართლებრივ და/ან დისკრიმინაციული ბარიერის/ბარიერების არსებობა, რომელიც არამართლზომიერად ზღუდავს ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციას ან ეწინააღმდეგება ეკონომიკურ აგენტებს შორის თანასწორუფლებიანობის პრინციპს.

ამდენად, აღნიშნული სატენდერო პირობა არ იწვევს „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ" ქვეპუნქტის დარღვევას.

ბ.ა.ბ) კანონის მე-10 მუხლის „ე" ქვეპუნქტი

კონკრეტული ქმედების „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ე" ქვეპუნქტის დარღვევად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მე-10 მუხლის სპეციალური სუბიექტის გადაწყვეტილებით, ეკონომიკური აგენტისთვის შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის შექმნის ფაქტი. კერძოდ, მომჩივანის განმარტებით, 2017 წლიდან შპს „საქაერონავიგაციის" მიერ გამოცხადებულ ტენდერში იმარჯვებს მხოლოდ სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი", გამომდინარე იქიდან, რომ მხოლოდ

ის აკმაყოფილებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დაწესებულ პირობას და ტენდერის საწყის ეტაპზე მოიპოვებს ხოლმე გადამზღვეველი კომპანიის დასტურს.

როგორც სააგენტომ სადავო გარემოების კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით მსჯელობის ფარგლებში შეაფასა, რისკის მოცულობის გათვალისწინებით, რისკის გადაზღვევა არის აუცილებელი კომპონენტი მოპასუხის მიერ სადაზღვევო კომპანიასთან სახელშეკრულებო ურთიერთობის დასამყარებლად, რადგან ვერც ერთი ქართული კომპანია თავის თავზე ვერ აიღებს მსგავსი მოცულობის რისკს. მეორე მხრივ, შპს „საქაერონავიგაცია“, რომელიც ვალდებულია შეისყიდოს დაზღვევის მომსახურება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვალდებულია, გაითვალისწინოს ის პროცედურები, რასაც ადგენს მოქმედი კანონმდებლობა და ტენდერის ჩაშლის საფრთხის თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად, მის მიერ სატენდერო პირობები უნდა შემუშავდეს იმგვარად, რომ, ერთი მხრივ, დაცული იყოს მისი, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესები, ხოლო, მეორე მხრივ, არ მოხდეს რომელიმე კონკრეტული სუბიექტისთვის უპირატესობის მინიჭება.

მოპასუხის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილია პირობა სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის სადაზღვევო რისკის 100%-ით გადაზღვევის შესახებ, რომელიც წერილობით დადასტურებული უნდა იყოს გადამზღვეველი კომპანი(ებ)ის მიერ და აღნიშნული პირობა თანაბრად მიემართება ტენდერში მონაწილეობის მსურველ ყველა კომპანიას. შპს „საქაერონავიგაცია“ წლების განმავლობაში ატარებს ტენდერს, სადაც მოთხოვნილია პირობა რისკის გადაზღვევის შესახებ, ატარებს ბაზრის კვლევას (სადავო ტენდერის გამოცხადებამდეც არის ჩატარებული კვლევა და გამოკითხულნი არიან ბაზრის მონაწილე სუბიექტები)[70] შესაბამისად, კომპანიები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მსგავს ტენდერში მონაწილეობით, მათი ბიზნეს საქმიანობის გათვალისწინებით, უნდა ახორციელებდნენ შესაბამისი მოლაპარაკებების წარმოებას გადამზღვეველ კომპანიებთან - მით უფრო, რომ არც ერთი მათგანი არ ხდის სადავოდ პროცესში გადამზღვეველი კომპანიის ჩართვის აუცილებლობას.

შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ შემუშავებული პირობა არის ზოგადი ხასიათის, რომელიც პრეტენდენტს ავალდებულებს, რომ მოიპოვოს მესამე პირის, გადამზღვეველი კომპანიის თანხმობა და გადაზღვევის ბაზარი, მისი სპეციფიკის და თითოეული კომპანიის პოლიტიკის გათვალისწინებით, თანაბრად ხელმისაწვდომია, როგორც სს „სადაზღვევო კომპანია უნისონისთვის“, ასევე, ბაზრის სხვა სუბიექტებისთავის.

როგორც უკვე აღინიშნა, გადაზღვევის ბაზარი არის ცალკე მდგომი ბაზარი და სატენდერო პირობების გათვალისწინებით, შემსყიდველი ორგანიზაციისთვის მისაღებია შესაბამისი რეიტინგის და ეგთო-ს (ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OECD)) წევრ ქვეყნებში რეგისტრირებული, შესაბამისი რეიტინგის კომპანიები. მეორეს მხრივ, სსიპ -საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობისგან მიღებული ინფორმაციის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში რეგისტრირებული სადაზღვევო კომპანიები, 2021

[70] შპს „საქაერონავიგაციის“ 2021 წლის 12 აგვისტოს N01/1318 წერილი

წლის სექტემბრის მონაცემებით, სამოქალაქო ავიაციის რისკების მიმართულებით ურთიერთობენ 25 გადამზღვეველ კომპანიასთან[71] - საიდანაც მხოლოდ სს „სადაზღვევო კომპანია უნისონს“ პარტნიორობა უფიქსირდება 10-მდე კომპანიასთან. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ეს ინფორმაცია მოწოდებულია უშუალოდ იმ გადამზღვეველების მონაცემებზე დაყრდნობით, რომელთანაც უკვე დამყარებულია სახელშეკრულებო ურთიერთობა სადაზღვევო კომპანიების მიერ. შესაბამისად, საავიაციო რისკების გადაზღვევის მიმართულებით მომუშავე გადამზღვეველების გარკვეულ ნაწილთან აქვთ ურთიერთობა სხვა სადაზღვევო კომპანიებსაც და ფაქტია, რომ მოთხოვნილი წერილობითი თანხმობის მოპოვება სრულიად შესაძლებელია. თავის მხრივ, OECD-ის წევრი ქვეყნების რიცხვი არის საკმაოდ დიდი და არ იკვეთება, რომ სს „სადაზღვევო კომპანია უნისონს“ აქვს სრული ექსკლუზივი აღნიშნულ ქვეყნებში რეგისტრირებული და შესაბამისი რეიტინგის მქონე ყველა გადამზღვეველ კომპანიასთან ურთიერთობისა. ამასთან, არც მოპასუხეს არ აქვს უფლებამოსილება, მიმართოს რომელიმე გადამზღვეველ კომპანიას და მიუთითოს, რომ მხოლოდ სს „სადაზღვევო კომპანია უნისონთან“ დაამყაროს საქმიანი ურთიერთობა და ამ გზით მოახდინოს მისთვის დომინანტური მდგომარეობის შექმნა.

ამდენად, სააგენტოს შეფასებით, სადავო სატენდერო პირობა არ იწვევს არც „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევას.

ბ.ბ) სატენდერო დოკუმენტაციის 2.8.1 პუნქტში მითითებული გადამზღვეველი კომპანიის მიერ გაცემული დასტური წარდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ტენდერისთვის სტატუსის „წინანადების მიღება დაწყებულია“ ეტაპზე

ბ.ბ.ა) კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი

მომჩივანის მიერ სადავოდ გამხდარია გადამზღვეველი კომპანიის მიერ გაცემული დასტურის წარმოდგენა ელექტრონული ტენდერისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ ეტაპზე. ამასთან, შესაბამისი ბაზრის მონაწილე სხვა სუბიექტებისგან მიღებული პოზიციითაც, კომპანიების უმრავლესობა პრობლემურად მიიჩნევს წერილის წარდგენას სწორედ ამ ეტაპზე. კერძოდ, 11 სადაზღვევო კომპანიის პოზიციით, აღნიშნულ ეტაპზე გადამზღვეველი კომპანიის წერილის მოპოვება თითქმის შეუძლებელია იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ სპეციფიური რისკების გადაზღვევის ბაზარი არის ვიწრო და რისკი შესაძლოა რამოდენიმე გადამზღვეველთან იყოს გადასაზღვევი. ამასთან, გადამზღვეველები, რომლებიც იღებენ მსგავსი მოცულობის რისკებს, უკვე არიან პარტნიორულ ურთიერთობაში იმ კომპანიებთან, რომლებიც წინა წლებში იყვნენ გამარჯვებული მსგავს ტენდერებში და კომპანიები ხშირ შემთხვევაში არ ადასტურებენ მათ მონაწილეობას ჰიპოთეტური სახელშეკრულებო ურთიერთობის შემთხვევაში. შესაბამისად, გადაზღვევის ბაზარი სხვა

[71] სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2021 წლის 4 ნოემბრის N01/1802 წერილი

პრეტენდეტებისათვის თავისუფლდება მას შემდეგ, რაც ის უკვე გაიმარჯვებს ტენდერში - მხოლოდ აღნიშნული ფაქტის შემდეგ ხდება რეალურად შესაძლებელი კონკრეტული გადამზღვეველი კომპანიისგან წერილობით დასტურის მოპოვება. ამდენად, როგორც მომჩივანის, ასევე, ბაზრის მონაწილე სხვა ეკონომიკური აგენტების უმრავლესობის პოზიციით, დასტური წარმოდგენილ უნდა იქნეს „შერჩევა-შეფასების“ ან „ხელშეკრულების გაფორმების“ ეტაპზე.

როგორც შესყიდვების კანონმდებლობის ანალიზის შედეგად დადგინდა, შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ გამოცხადებული ტენდერი, შესყიდვის ღირებულებიდან გამომდინარე (შესყიდვის სავარაუდო ღირებულება იყო 3 272 297 ლარი), ითვალისწინებდა სატენდერო განაცხადის წარსადგენად და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად სატენდერო წინადადების წარდგენის შედარებით ხანგძლივ ვადებს. კერძოდ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15[1] მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ შესასყიდი სამუშაოს სავარაუდო ღირებულება შეადგენს ან აღემატება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი ევროკავშირის დირექტივებით დადგენილ მონეტარულ ზღვრებს, განისაზღვრება არანაკლებ 30 დღე, რომელთაგან სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად განკუთვნილია სულ მცირე პირველი 25 დღე, ხოლო სატენდერო წინადადების წარსადგენად – 5 დღე. ამდენად, შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ ტენდერის გამოცხადების (2021 წლის 6 მაისი) შემდეგ, პრეტენდენტებს ჰქოდათ ერთთვიანი ვადა დოკუმეტაციის მოსამზადებლად (წინადადებების მიღება დაიწყო 2021 წლის 2 ივნისს). ამასთან, მოპასუხის მიერ 2021 წლის თებერვალში ჩატარდა ბაზრის კვლევა, რომლის ფარგლებშიც შპს „საქაერონავიგაციამ“ აცნობა კომპანიებს, რომ იგეგმებოდა სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის, ქონების და პერსონალის ჯანმრთლობის დაზღვევის მომსახურებების შესყიდვა და ეთხოვათ განფასების ცხრილის წარმოდგენა (აღნიშნულ კვლევაში ორმა კომპანიამ წარადგინა ფასების ცხრილი, ხოლო, უმრავლესობამ (მათ შორის მომჩივანმა) თავი შეიკავა კვლევაში მონაწილეობისგან). შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიებისთვის ცნობილი იყო შესაბამისი ინფორმაცია ტენდერის გამოცხადებამდე, ხოლო, გამოცხადების შემდეგ ჰქონდათ ერთთვიანი ვადა გადამზღვეველ კომპანიებთან (პირდაპირ ან ბროკერის მეშვეობით) მოლაპარაკებების წარმოებისათვის - მაშინ როდესაც, როგორც სადაზღვევო, ასევე, სადაზღვევო და საბროკერო კომპანიების განმარტებით, თანხმობის მოპოვება არის ინდივიდუალური და შეიძლება გარკვეულ შემთხვევებში ერთი ან რამდენიმე დღეც საკმარისი იყოს.

რაც შეეხება გადამზღვეველი კომპანიის დასტურის წარდგენის შესაძლებლობას სატენდერო დოკუმენტაციის „შერჩევა-შეფასების“ ან „ხელშეკრულების გაფორმების“ ეტაპზე - როგორც სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან საკონსულტაციო შეხვედრის[72] დროს, ასევე, მოპასუხის ახსნა-განმარტების[73] და სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ხსენებულ ეტაპებზე არ ხდება პრეტენდენტისთვის იმ

[72] 2021 წლის 28 ოქტომბერს გამართული საკონსულტაციო შეხვედრის N2 ოქმი

[73] შპს "საქაერონავიგაციასთან" 2021 წლის 21 ოქტომბერს ჩატარებული ახსნა-განმარტების ოქმი N2

ინფორმაციის მოთხოვნა, რომელიც არ ყოფილა გათვალისწინებული სატენდერო დოკუმენტაციით. კერძოდ, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და სატენდერო პირობებს ამტკიცებს სატენდერო კომისია. ამავე წესის მე-17 მუხლი ითვალისწინებს პირობებს, რასაც უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაცია და სწორედ ეს დამტკიცებული სატენდერო განცხადება ქვეყნდება სისტემის მეშვეობით. თავის მხრივ, სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეცვალოს სატენდერო პირობები მხოლოდ ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებულია“ მინიჭებამდე.[74] თავის მხრივ, ე.წ. „შერჩევა-შეფასების“ ეტაპი წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდეტის მხრიდან წარდგენილი დოკუმენტაციის სატენდერო პირობებთან შესაბამისობის შეფასებას[75] და დაუშვებელია პრეტენდენტს მოეთხოვოს ისეთი ინფორმაციის წარდგენა, რომელიც არ ყოფილა გათვალისწინებული სატენდერო პირობებით[76]. ამდენად, სატენდერო კომისია „შერჩევა-შეფასების“ ეტაპზე ვერ მოითხოვს სატენდერო პირობებით გაუთვალისწინებელი ახალი დოკუმენტის - გადამზღვეველის დასტურის - წარდგენას პრეტენდენტისგან. შედეგად, შპს „საქაერონავიგაციამ“ მის მიერ სატენდერო პირობების დამტკიცებამდე უნდა შეიმუშავოს ერთ-ერთი მოთხოვნა - დასაშვებად მიიჩნიოს მხოლოდ ბროკერის მიერ გაცემული თანხმობა და მას შემდეგ რაც გამოვლინდება გამარჯვებული და დაიდება მასთან ხელშეკრულება, უკვე ფაქტობრივად მიიღოს ინფორმაცია გადამზღვეველი კომპანიის მიერ სახელშეკრულებო ურთიერთობაში მონაწილეობის მზაობის შესახებ - რამაც თეორიულად შესაძლოა შექმნას ისეთი ვითარება, რომ პრეტენდენტის მიერ საერთოდ ვერ მოხდეს გადამზღვეველი კომპანიის მოძიება და ტენდერი ჩაიშალოს ან ხელშეკრულება შეწყდეს; ან, შესაბამისი რისკების ანალიზის საფუძველზე, თავიდანვე მოითხოვოს გადამზღვეველი კომპანიის მიერ გაცემული დასტური, რადგან შესყიდვების კანონმდებლობით შეუძლებელი იქნება, საწყის ეტაპზე საბროკერო კომპანიის წერილის მიღება და პრეტენდეტის დაშვება და შემდგომ, დაზუსტების მიზნით, მისთვის გადამზღვეველი კომპანიის დასტურის წარმოდგენის დავალდებულება დოკუმენტაციის „შერჩევა-შეფასების“ ეტაპზე.

ამდენად, მოპასუხის მიერ გადამზღვეველი კომპანიის დასტურის მოთხოვნა „წინადადების მიღების დაწყებამდე“, ფორმალური თვალსაზრისით, შეესაბამება კანონმდებლობას. ამ ნაწილში, სადავო ხდება ისევ გადამზღვეველი კომპანიის მიერ გაცემული დასტურის და საბროკერო კომპანიის მიერ გაცემული წერილის იდენტურობის საკითხი, რომლის თაობაზეც, სააგენტომ უკვე იმსჯელა ამ ქვეთავის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტთან შესაბამისობის შეფასების დროს. კერძოდ, სააგენტოს განმარტებით, ბროკერის

---

[74]„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესი, მუხლი 19.1.

[75] იქვე, მუხლი 27.1.

[76] იქვე, მუხლი 25.2.

მიერ სადაზღვევო რისკის სამომავლო გადაზღვევასთან დაკავშირებით წინასწარ გაცემული თანხმობა შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს უშუალოდ გადამზღვეველის მიერ სადაზღვევო რისკთან მიმართებით გადაზღვევის ვალდებულების გაცხადებული თანხმობის სრულფასოვან ალტერნატივად იმ შემთხვევაში, თუ ბროკერის წერილს ახლავს შესაბამისი გადამზღვეველი კომპანიის/კომპანიების დასტური. ამასთან, გადამზღვეველი კომპანიის მიერ გაცემული დასტურს, სახელმწიფო შესყიდვების პროცესის თავისებურების გათვალისწინებით, გააჩნია ნდობის უფრო მაღალი ხარისხი და სადაზღვევო კომპანიებმა, მათი ეფექტიანი ბიზნეს საქმიანობიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყონ გადამზღვეველ კომპანიებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება და მათთვის მისაღები პირობების შეთავაზება.

ამდენად, **სააგენტოს შეფასებით, მოპასუხის მიერ გადამზღვეველი კომპანიის დასტურის წარმოდგენა ელექტრონული ტენდერის სტატუსის „წინანადების მიღება დაწყებულია“ ეტაპზე არ იწვევს ეკონომიკური აგენტების ეკონომიკური საქმიანობის და დამოუკიდებლობის აკრძალვას, შეჩერებას ან შეფერხებას** და არ აქვს ადგილი კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

ბ.ბ.ბ) კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი

მომჩივანის პოზიციით, 2017 წლიდან შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ გამოცხადებულ ტენდერში იმარჯვებს მხოლოდ სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“, გამომდინარე იქიდან, რომ მხოლოდ ის აკმაყოფილებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დაწესებულ პირობას და ტენდერის საწყის ეტაპზე მოიპოვებს ხოლმე გადამზღვეველი კომპანიის დასტურს. ამასთან, ბაზრის სხვა მონაწილე კომპანიების განმარტებით, სპეციფიური რისკების გადაზღვევის ბაზარი არის ვიწრო და რისკი შესაძლოა რამოდენიმე გადამზღვეველთან იყოს გადასაზღვევი. ამასთან, გადამზღვეველები, რომლებიც იღებენ მსგავსი მოცულობის რისკებს, უკვე არიან პარტნიორულ ურთიერთობაში იმ კომპანიებთან, რომლებიც წინა წლებში იყვნენ გამარჯვებული მსგავს ტენდერებში. ამდენად, სს „სადაზღვევო კომპანია უნისონს“, როგორც მოპასუხის ტენდერებში წინა წლებში გამარჯვებულ კომპანიას, აქვს უფრო მეტი შესაძლებლობა, მოიპოვოს გადამზღვეველი კომპანიის დასტური ტენდერის საწყის ეტაპზე.

სააგენტო კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ მოპასუხის მიერ გადამზღვეველი კომპანიის დასტურის მოთხოვნა „წინადადების მიღების დაწყებამდე“ პროცედურულად შეესაბამება კანონმდებლობას. ამასთან, შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ დაწესებული მოთხოვნა არის ზოგადი ხასიათის, მიემართება ყველა პრეტენდენტს და არ ითვალისწინებს ისეთ პირობას, რომლის დაკმაყოფილების საშუალებაც აქვს მხოლოდ ერთ კომპანიას. კიდევ ერთხელ ხაზგასასმელია, რომ გადაზღვევის ბაზარი არ არის დაკავშირებული შპს „საქაერონავიგაციასთან“ და მას, როგორც ცალკე მდგომ სუბიექტს, არ აქვს წვდომა იქ მოქმედ კომპანიებთან. მოპასუხის ინტერსს წარმოადგენს, რომ ტენდერში გამარჯვებულმა პირმა უზრუნველყოს მის მიერ აღებული რისკის გადაზღვევა, რადგან ვერც ერთი ქართული კომპანია გადამზღვეველის გარეშე ვერ აიღებს საკუთარ თავზე ამხელა რისკს.

თავის მხრივ, სადაზღვევო კომპანიები ამყარებენ საქმიან ურთიერთობას გადამზღვეველებთან, პირდაპირ ან საბროკერო კომპანიების მეშვეობით, თითოეული მათგანის პოლიტიკის და ბიზნეს ინტერესების გათვალისწინებით და ეს ბაზარი თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც სს „სადაზღვევო კომპანია უნისონისთვის“, ასევე, ბაზრის სხვა სუბიექტებისთავის. ამასთან, სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებს სცილდება ცალკეული ეკონომიკური აგენტის ეკონომიკური საქმიანობის გამარტივებისა და ეფექტიანობის გაზრდისკენ მიმართული რეკომენდაციების შემუშავება - ზოგადად, კონკურენციის სამართლის, ისევე როგორც კანონის მე-10 მუხლის მიზანი არის კონკურენციის, როგორც პროცესის დაცვა და აღნიშნულ პროცესში თითოეული ეკონომიკური აგენტის ეფექტიანი ფუნქციონირება დამოკიდებულია უკვე უშუალოდ კონკრეტული მათგანის მიერ შემუშავებულ ბიზნეს სტრატეგიასა თუ მიღებულ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზე.

ამასთან, სააგენტო კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ OECD-ის წევრი ქვეყნების რიცხვი არის საკმაოდ დიდი და არ დგინდება, რომ სს „სადაზღვევო კომპანია უნისონს“ აქვს სრული ექსკლუზივი აღნიშნულ ქვეყნებში რეგისტრირებული და შესაბამისი რეიტინგის მქონე ყველა გადამზღვეველ კომპანიასთან ურთიერთობის. ასევე, არ არის შესაბამისი არგუმენტებით გამყარებული, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება მოპასუხის მიერ სს „სადაზღვევო კომპანია უნისონისთვის“ დომინანტური მდგომარეობის შექმნა და სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ ხელშეწყობა გადამზღვეველი კომპანიის მოძიების პროცესში.

ამდენად, სააგენტოს შეფასებით, სადავო სატენდერო პირობა არ იწვევს არც „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევას.

ბ.გ) აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის (NAT210008212) იმგვარად გამოცხადება, სადაც ერთ ლოტად არის გაერთიანებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ქონების, ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევა

ბ.გ.ა) კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი

მომჩივანი ასევე სადავოდ ხდის ელექტრონული ტენდერის (NAT210008212) იმგვარად გამოცხადებას, სადაც ერთ ლოტად არის გაერთიანებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ქონების, ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევა. ამასთან, სააგენტოს მიერ ბაზარზე მოქმედი სუბიექტებისგან მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, იდენტიფიცირდა, რომ კომპანიების ნაწილმა (6 კომპანია) მონაწილეობა ვერ მიიღო სწორედ ტენდერის ერთ ლოტად გამოცხადების გამო. ამასთან, სადაზღვევო კომპანიების განმარტებით, კონკრეტული მომსახურების ლიცენზიის არქონის შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანიას ეზღუდება ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა. მაგალითად, სადაზღვევო კომპანიას, რომელიც ოპერირებს ჯანმრთელობის დაზღვევის სახეობაში, ერთმევა უფლება, დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა ამგვარად გაერთიანებულ სახელმწიფო შესყიდვაში. ამასთან, შესაძლოა

სადაზღვევო კომპანიას აქვს შესაძლებლობა, სხვა პრეტენდეტებთან შედარებით, უკეთესი პირობები შესთავაზოს შემსყიდველ ორგანიზაციას ერთ-ერთი მომსახურების ნაწილში, თუმცა, გაერთიანების გამო, საერთოდ ვერ იღებს მონაწილეობას სახელმწიფო ტენდერში.

მეორე მხრივ, მოპასუხის განმარტებით, მის მიერ 2015 წელს ჩატარდა კვლევა, რომლის ფარგლებშიც, განხორციელდა სხვადასხვა სადაზღვევო მომსახურებების როგორც ცალკე, ისე, გაერთიანებული ფასის მოკვლევა და აღმოჩნდა, რომ სადაზღვევო მომსახურებების გაერთიანების შედეგად, ფასი იყო მნიშვნელოვნად ნაკლები.[77] ამასთან, მოპასუხის პოზიციით, გამომდინარე იქიდან, რომ ტენდერი გამოცხადებული იყო ერთგვაროვან ობიექტზე, არ ირღვეოდა შესყიდვების კანონმდებლობა, ხოლო, ბაზარზე მოქმედ ყველა კომპანიას აქვს როგორც სიცოცხლის დაზღვევის, ასევე, დაზღვევის (არასიცოცხლის ლიცენზია).

აღნიშნული საკითხის მოკვლევის მიზნით, სააგენტოს მიერ შესწავლილ იქნა შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა, შესაბამისი წერილობითი პოზიცია იქნა გამოთხოვილი სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან, ასევე, გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა.[78]

კერძოდ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონკურსის, ელექტრონული ტენდერისა და კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით. თავის მხრივ, ამავე კანონის მე-3 მუხლის „ჟ“, „ს[1]“ და „ფ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულია გამარტივებული შესყიდვის, ელექტრონული ტენდერის და კონსოლიდირებული ტენდერის განმარტებები და მითითებულია, რომ სამივე მათგანი წარმოადგენს შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის საშუალებას. „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანებით დამტკიცებული წესის მეხუთე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის საშუალების შერჩევისას, კანონის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველსაყოფად, შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნება განისაზღვრება კლასიფიკატორის დანაყოფის შესაბამისად. ანუ 8 ციფრიანი ძირითადი კოდიდან პირველი სამი ციფრის იდენტურობა განაპირობებს შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნებას. ამდენად, გამომდინარე იქედან, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, ისევე როგორც ქონების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა გაერთიანებულია CPV66500000 კლასიფიკატორის კოდში, მოცემული წესის შესაბამისად ისინი წარმოადგენენ შესყიდვის ერთგვაროვან ობიექტებს და შესყიდვების კანონმდებლობის მიხედვით, შესაძლებელია მათზე ერთ ლოტად ტენდერის გამოცხადება.

სადავო საკითხთან მიმართებით, სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების დაზუსტების მიზნით, უწყებისგან მიღებული პოზიციით, იდენტიფიცირდა, რომ NAT21000812 ელექტრონული ტენდერის გამოცხადებამდე 2021 წლის 15 მარტს შპს „საქაერონავიგაციამ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარადგინა

---

[77] შპს „საქაერონავიგაციის“ 2021 წლის 12 აგვისტოს N01/1318 წერილი

[78] 2021 წლის 28 ოქტომბერს გამართული საკონსულტაციო შეხვედრის N2 ოქმი

ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის, ქონების, თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის მომსახურების შესყიდვისთვის თანხმობის მისაღებად, რაზედაც იმის გათვალისწინებით, რომ კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში 2021 წლის განმავლობაში ხორციელდება მხოლოდ სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის მომსახურების შესყიდვა, შემსყიდველ ორგანიზაციას ეცნობა, რომ მათთვის საჭირო შესყიდვის ობიექტ(ებ)ი, მოცემულ ეტაპზე, არ წარმოადგენდა კონსოლიდირებული ტენდერებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტ(ებ)ს, ხოლო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო არ იყო წინააღმდეგი მომართვაში ნახსენები ობიექტ(ებ)ის შესყიდვა შემსყიდველ ორგანიზაციას განეხორციელებინა კონსოლიდირებული ტენდერების ფარგლებს გარეთ[79]. თავის მხრივ, უწყების განმარტებით, გამომდინარე იქიდან რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, ისევე როგორც ქონების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა გაერთიანებულია CPV66500000 კლასიფიკატორის კოდში და შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოადგენს შესყიდვის ერთგვაროვან ობიექტებს - ამ ფორმით ტენდერის გამოცხადება წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილებას, რომელიც შესაძლოა, გამომდინარეობდეს მის მიერ ტენდერის გამოცხადებამდე განხორციელებული წინამოსამზადებელი სამუშაოებისა და ბაზრის მოკვლევის შედეგებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხის მიერ გამოცხადებული აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერი, ფორმალურად, შეესაბამებოდა შესყიდვების კანონმდებლობას, სააგენტომ იმსჯელა სადავო საკითხზე უშუალოდ კონკურენციის კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობის დადგენის მიზნით და ამ პროცესში, მოხდა იმის განსაზღვრა, ტენდერის ერთ ლოტად გამოცხადება იწვევდა თუ არა ეკონომიკური აგენტების ეკონომიკური საქმიანობის და დამოუკიდებლობის აკრძალვას, შეჩერებას ან შეფერხებას.

საქმის მასალების ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ, დღეის მდგომარეობით, რეგისტრირებულია და საქმიანობის უფლება მინიჭებული აქვს 18 სადაზღვევო კომპანიას, რომლებიც ფლობენ როგორც სიცოცხლის დაზღვევის, ასევე, დაზღვევის (არა სიცოცხლის) ლიცენზიას.[80] რაც შეეხება კომპანიების ფაქტობრივ საქმიანობას - მიუხედავად ლიცენზირებისა, ფაქტობრივი საქმიანობის მიხედვით, ყველა კომპანია არ ოპერირებს დაზღვევის ყველა სახეობაში (მაგალითად, 3 კომპანიას არ აქვს ჯანმრთელობის დაზღვევის პროდუქტი და ა.შ). თუმცა, თეორიული თვალსაზრისით, კომპანიების უმრავლესობისთვის, პროდუქტის ხასიათის გათვალისწინებით, სადავო ტენდერის ფარგლებში შესასყიდი მომსახურებების მიწოდება შესაძლებელია როგორც მათი ცალ-ცალკე, ასევე, ერთობლივად შესყიდვის შემთხვევაში.[81]

---

[79] სსიპ -სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2021 წლის 12 აგვისტოს N01/1326 წერილი

[80] იხ. https://www.insurance.gov.ge/ka/page/insurers

[81] სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის 2021 წლის 4 ნოემბრის N01/1802 წერილით წარმოდგენილი ინფორმაცია სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემული პოლისების შესახებ; 18 სადაზღვევო კომპანიის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი ინფორმაცია. იხ. სქოლიო N45

გასათვალისწინებელია, რომ სადაზღვევო კომპანიების მიერ ფაქტობრივად განხორციელებული საქმიანობა წარმოადგენს მათ ბიზნეს სტრატეგიას და თითოეულ მათგანს აქვს შესაძლებლობა, ლიცენზიის ფარგლებში, ნებისმიერ დროს შემოიტანოს ახალი პროდუქტი და დაიწყოს ოპერირება ბაზარზე. ამასთან, როგორც სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან გამართული საკონსულტაციო შეხვედრის ფარგლებში გამოიკვეთა,[82] რაიმე სამართლებრივი ბარიერი ცალკეული კომპანიის მიერ ახალი პროდუქტის შემოღების თვალსაზრისით არ არსებობს. შესაბამისად, 18-ვე სადაზღვევო კომპანია, ზოგადი ლიცენზირების ნაწილში, წარმოადგენს ერთმანეთის კონკურენტს, ხოლო, ფაქტობრივი საქმიანობის ნაწილში - პოტენციურ კონკურენტს.

ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ, ზოგადად, სადაზღვევო რისკის იდენტიფიცირება წარმოადგენს რთულ და კომპლექსურ საკითხს, თუნდაც, ქონების დაზღვევის ნაწილში, ცალკეული ქონების სპეფიციკის გათვალისწინებით, კომპანიამ უნდა მოახდინოს რისკის შეფასება და რა თქმა უნდა, რაც უფრო კონკრეტული იქნება დაზღვევის ობიექტი, მით უფრო მარტივი იქნება მისი შეფასება. მაგალითად, კონკრეტულად მომჩივანის განმარტებით, ერთ-ერთი უწყების მიერ გამოცხადებულ ტენდერში, სადაც გაერთიანებული ფორმით იყო მოთხოვნილი მისი სხვადასხვა დეპარტამენტებისთვის ავტომობილების შესყიდვა, ესეც კი პრობლემური იყო რისკი იდენტიფიცირების ან ზარალების ანაზღაურების კუთხით.[83] თუმცა, როგორც სააგენტომ უკვე განმარტა, კონკურენციის სამართლის მიზანი არის არა ცალკეული ეკონომიკური აგენტის დაცვა და მისი ბიზნეს საქმიანობის გამარტივება, არამედ, კონკურენციის პროცესის დაცვა და სწორედ ამ მიზნით ფასდება - იქმნება თუ არა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დაწესებული სატენდერო პირობებით ისეთი ბარიერი, რომელიც ზღუდავს კომპანიებს. შესაბამისად, **გამომდინარე იქიდან, რომ ბაზარზე მოქმედი კომპანიების უმრავლესობისთვის, ფაქტობრივად, ხელმისაწვდომია მოპასუხის მიერ გაერთიანებული ლოტის ფარგლებში შესასყიდი მომსახურებების შეთავაზება, ხოლო, იმ კომპანიებისთვის, რომლებიც, დღეის მდგომარეობით, არ ოპერირებენ დაზღვევის ამა თუ იმ სახეობაში, მათი ლიცენზიის გათვალისწინებით, არ არსებობს მნიშვნელოვანი ბარიერი ამ მიმართულებით საქმიანობის დაწყებისა - არ იკვეთება, რომ ტენდერის იმგვარად გამოცხადება, სადაც ერთ ლოტად არის გაერთიანებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ქონების, ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევა, იწვევს ეკონომიკური აგენტების ეკონომიკური საქმიანობის და დამოუკიდებლობის აკრძალვას, შეჩერებას ან შეფერხებას.**

შესაბამისად, სააგენტოს შეფასებით, ამ ნაწილშიც, ადგილი არ აქვს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

---

[82] 2021 წლის 28 ოქტომბერს გამართული საკონსულტაციო შეხვედრის N1 ოქმი

[83] სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის“ 2021 წლის 21 ოქტომბრის ახსნა-განმარტის ოქმი N1

ბ.გ.ბ) კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი

სააგენტოს მიერ ასევე შეფასდა - აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის (NAT210008212) იმგვარად გამოცხადება, სადაც ერთ ლოტად არის გაერთიანებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ქონების, ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევა, იწვევს თუ არა უშუალოდ სს „სადაზღვევო კომპანია უნისონისთვის“ მოპასუხის მიერ დომინანტური მდგომარეობის შექმნას.

როგორც სააგენტოს მიერ არაერთხელ იქნა განმარტებული, დღეის მდგომარეობით, რეგისტრირებულია და საქმიანობის უფლება მინიჭებული აქვს 18 სადაზღვევო კომპანიას, რომლებიც ფლობენ როგორც სიცოცხლის დაზღვევის, ასევე, დაზღვევის (არა სიცოცხლის) ლიცენზიას - მათ შორის არის სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“. ამასთან, სადაზღვევო კომპანიების უმრავლესობა, მათი ფაქტობრივი საქმიანობის გათვალისწინებით, არის უფლებამოსილი, რომ სადავო ტენდერის ფარგლებში შესასყიდი მომსახურებების მიწოდება განახორციელოს როგორც მათი ცალ-ცალკე, ასევე, ერთობლივად შესყიდვის შემთხვევაში. სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ წარმოადგენს სადაზღვევო კომპანიას, რომელსაც, შესაბამის ბაზარზე მოქმედი სხვა სუბიექტების მსგავსად, უწევს შესაბამისი რისკის იდენტიფიცირება თითოეული დაზღვევის სახეობის მიხედვით და იღებს გადაწყვეტილებას, უღირს თუ არა, რომ შევიდეს გაერთიანებული ლოტის ფორმით გამოცხადებულ ტენდერში. უნდა ვივარაუდოთ, რომ სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ ბაზრისთვის დამახასიათებელი დადებითი და უარყოფითი ფაქტორების ანალიზის და შეჯერების შედეგად შედის ტენდერში და აშკარაა, რომ ამ ნაწილში, არ არის განსხვავებული მიდგომა კონკრეტულად ამ კომპანიის მიმართ. სს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ რომ წარმოადგენდეს ბაზარზე მოქმედი იმ მცირერიცხოვანი კომპანიებიდან ერთ-ერთს, რომელსაც გააჩნია როგორც სიცოცხლის, ასევე, არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზია, კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევის ალბათობა შესაძლოა ყოფილიყო სახეზე. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, ბაზარზე მოქმედი 18-ვე სადაზღვევო კომპანია, ზოგადი ლიცენზირების ნაწილში, წარმოადგენს ერთმანეთის კონკურენტს, ხოლო, ფაქტობრივი საქმიანობის ნაწილში - პოტენციურ კონკურენტს.

ამ ნაწილშიც ისევ სადავო ხდება გადამზღვეველი კომპანიის მიერ გაცემული დასტურის, ტენდერის საწყის ეტაპზე, სს „სადაზღვევო კომპანია უნისონის“ მიერ წარმოდგენის შესაძლებლობა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ნაწილში - რომლის თაობაზეც, სააგენტომ უკვე იმსჯელა ამ ქვეთავის „ბ.ა“ და „ბ.ბ“ ქვეპუნქტის ფარგლებში. კერძოდ, სააგენტოს განმარტებით, გადამზღვეველი კომპანიის მიერ გაცემულ დასტურს, სახელმწიფო შესყიდვების პროცესის თავისებურების გათვალისწინებით, გააჩნია ნდობის უფრო მაღალი ხარისხი და სადაზღვევო კომპანიებმა, მათი ეფექტიანი ბიზნეს საქმიანობიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყონ გადამზღვეველ კომპანიებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება და მათთვის მისაღები პირობების შეთავაზება. ამასთან, OECD-ის წევრი ქვეყნების რიცხვი არის საკმაოდ დიდი და არ იკვეთება, რომ სს „სადაზღვევო კომპანია უნისონს“ აქვს სრული ექსკლუზივი აღნიშნულ ქვეყნებში რეგისტრირებული და შესაბამისი რეიტინგის მქონე ყველა გადამზღვეველ კომპანიასთან ურთიერთობის.

ამდენად, სააგენტოს შეფასებით, ამ ნაწილშიც არ აქვს ადგილი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევას.

ნაწილი 3. დასკვნა

შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით, სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის“ მიერ წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე დაწყებული საქმის მოკვლევის შედეგად დაადგინა, რომ:

✓ შპს „საქაერონავიგაციამ“, როგორც სახელმწიფოს მიერ 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულმა საწარმომ, სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის, ქონების, თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის მომსახურებების შესყიდვის მიზნით აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერი (NAT210008212) გამოაცხადა „შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი სავალდებულო მოთხოვნების გათვალისწინებით, მის მიერ ამ მომსახურებების შესყიდვა წარმოადგენდა სახელმწიფო შესყიდვას და ამ სამართალურთიერთობის მიზნებისთვის იგი წარმოადგენს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთ სპეციალურ სუბიექტს - ადმინისტრაციულ ორგანოს.

✓ სადავო სატენდერო პირობები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, შეფასდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტის ფარგლებში და სააგენტოს მიერ მოკვლეული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, დადგინდა რომ:

- **სადავო პირობა N1:** - სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის სადაზღვევო რისკის 100%-ით გადაზღვევის შესახებ, რომელიც წერილობით დადასტურებული უნდა იყოს გადამზღვეველი კომპანი(ებ)ის მიერ (საბროკერო კომპანიის/ბროკერის წერილის არ მიღება) - არ იწვევს კანონის მე-10 მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების დარღვევას შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

  - „საქაერონავიგაციის“ მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის ფარგლებში არსებულ სადაზღვევო რისკს, გადაზღვევის გარეშე, ვერ აიღებდა ვერც ერთი სადაზღვევო კომპანია, გამომდინარე იქიდან, რომ სადავო ტენდერის ფარგლებში, პასუხისმგებლობის დაზღვევის ლიმიტი აღემატება საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების კაპიტალის თანაფარდობით განსაზღვრულ შესაძლებლობებს. ამდენად, გადამზღვეველი კომპანიის ჩართულობა რისკის გადაზღვევის უზრუნველსაყოფად არის აუცილებელი;
  - ბროკერი წარმოადგენს შუამავალ პირს, შესაბამისად, გადამზღვეველი კომპანიის მიერ გაცემულ დასტურს აქვს ნდობის უფრო მაღალი ხარისხი, გამომდინარე იქიდან, რომ გაცემულია უშუალოდ ხელშეკრულების გაფორმების მსურველი მხარის და არა შუამავლი პირის მიერ. ხოლო, თავის მხრივ, შემსყიდველ

ორგანიზაციას ესაჭიროება მყარი გარანტიები, რომ მოხდება პრეტენდეტის მიერ ხელშეკრულების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულება და რისკის გადაზღვევა. შესაბამისად, ბროკერის მიერ სადაზღვევო რისკის სამომავლო გადაზღვევასთან დაკავშირებით წინასწარ გაცემული თანხმობა შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს უშუალოდ გადამზღვეველის მიერ სადაზღვევო რისკთან მიმართებით გადაზღვევის ვალდებულების გაცხადებული თანხმობის სრულფასოვან ალტერნატივად იმ შემთხვევაში, თუ ბროკერის წერილს ახლავს შესაბამისი გადამზღვეველი კომპანიის/კომპანიების დასტური;

- შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ შემუშავებული სატენდერო პირობის დაკმაყოფილება არ გამორიცხავს პროცესში სადაზღვევო ბროკერის ჩართულობას. კერძოდ, გადამზღვეველი კომპანიების ბაზარი არის ცალკე მდგომი ბაზარი და მასზე მოქმედ სუბიექტებთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესვლა, მოლაპარაკებების წარმოება, მათი საქართველოს რეგიონით და კონკრეტული რისკის აღებით დაინტერესება, სადაზღვევო კომპანიებს შეუძლიათ მათი ეფექტიანი ბიზნეს საქმიანობიდან გამომდინარე და საჭიროების შემთხვევაში, ამ პროცესში ბროკერის ჩართულობა არ არის გამორიცხული მოპასუხის მიერ შემუშავებული სატენდერო პირობებით.
- შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ შემუშავებული პირობა არის ზოგადი ხასიათის, რომელიც პრეტენდენტს ავალდებულებს, რომ მოიპოვოს მესამე პირის, გადამზღვეველი კომპანიის თანხმობა და გადაზღვევის ბაზარი, მისი სპეციფიკის და თითოეული კომპანიის პოლიტიკის გათვალისწინებით, თანაბრად ხელმისაწვდომია, როგორც სს „სადაზღვევო კომპანია უნისონისთვის“, ასევე, ბაზრის სხვა სუბიექტებისთავის;
- OECD-ის წევრი ქვეყნების რიცხვი არის საკმაოდ დიდი და არ იკვეთება, რომ სს „სადაზღვევო კომპანია უნისონს“ აქვს დამყარებული ექსკლუზიური ურთიერთობა აღნიშნულ ქვეყნებში რეგისტრირებული და შესაბამისი რეიტინგის მქონე ყველა გადამზღვეველ კომპანიასთან.

- სადავო პირობა N2: - გადამზღვეველი კომპანიის მიერ გაცემული დასტური წარდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ტენდერისთვის სტატუსის „წინანადების მიღება დაწყებულია“ ეტაპზე - არ იწვევს კანონის მე-10 მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების დარღვევას შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- პრეტენდენტებს ჰქოდათ ერთთვიანი ვადა დოკუმეტაციის მოსამზადებლად (წინადადებების მიღება დაიწყო 2021 წლის 2 ივნისს) და შესაბამისი გადამზღვეველი კომპანიის მოსაძიებლად - მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ თანხმობის მოპოვება შეიძლება მოხდეს ერთ-ორ დღეშიც. ამასთან, მოპასუხის მიერ 2021 წლის თებერვალში ჩატარდა ბაზრის კვლევა, რომლის ფარგლებშიც შპს „საქაერონავიგაციამ“ აცნობა კომპანიებს, რომ იგეგმებოდა

სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის, ქონების და პერსონალის ჯანმრთლობის დაზღვევის მომსახურებების შესყიდვა;

- თუ სატენდერო პირობებით მოთხოვნილი იქნება საბროკერო კომპანიის წერილი - სატენდერო კომისია „შერჩევა-შეფასების“ ეტაპზე ვეღარ მოითხოვს დამატებით, სატენდერო პირობებით გაუთვალისწინებელი ახალი დოკუმენტის - გადამზღვეველის დასტურის - წარდგენას პრეტენდენტისგან, რადგან აღნიშნული არ არის შესაძლებელი შესყიდვების სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობით. შედეგად, შპს „საქაერონავიგაციამ“ ან დასაშვებად უნდა მიიჩნიოს მხოლოდ ბროკერის მიერ გაცემული თანხმობა, ან თავიდანვე მოითხოვოს გადამზღვეველი კომპანიის დასტური;
- შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ შემუშავებული პირობა არის ზოგადი ხასიათის, თანაბრად მიემართება ყველა სუბიექტს - მათ შორის, სს „სადაზღვევო კომპანია უნისონს“, რომელსაც, თავის მხრივ, არ აქვს ექსკლუზიური ურთიერთობა OECD-ის წევრ ქვეყნებში რეგისტრირებულ და შესაბამისი რეიტინგის მქონე ყველა კომპანიასთან.

- **სადავო პირობა N3:** - აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის (NAT210008212) იმგვარად გამოცხადება, რომ ერთ ლოტად არის გაერთიანებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ქონების, ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევა - არ იწვევს კანონის მე-10 მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების დარღვევას შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, ისევე როგორც ქონების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა გაერთიანებულია CPV66500000 კლასიფიკატორის კოდში და შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოადგენს შესყიდვის ერთგვაროვან ობიექტებს. თავის მხრივ, ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა შესაძლებელია, მოხდეს ერთი ტენდერის ფარგლებში;
- დღეის მდგომარეობით, რეგისტრირებულია და საქმიანობის უფლება მინიჭებული აქვს 18 სადაზღვევო კომპანიას, რომლებიც ფლობენ როგორც სიცოცხლის დაზღვევის, ასევე, დაზღვევის (არა სიცოცხლის) ლიცენზიას;
- ბაზარზე მოქმედი კომპანიების უმრავლესობისთვის, ფაქტობრივად, ხელმისაწვდომია მოპასუხის მიერ გაერთიანებული ლოტის ფარგლებში შესასყიდი მომსახურებების შეთავაზება, ხოლო, იმ კომპანიებისთვის, რომლებიც, დღეის მდგომარეობით, არ ოპერირებენ დაზღვევის ამა თუ იმ სახეობაში, მათი ლიცენზიის გათვალისწინებით, არ არსებობს მნიშვნელოვანი ბარიერი ამ მიმართულებით საქმიანობის დაწყების;
- სს „სადაზღვევო კომპანია უნოსონი“ წარმოადგენს 18 სადაზღვევო კომპანიიდან ერთ-ერთს, რომელსაც, ასევე გააჩნია როგორც სიცოცხლის დაზღვევის, ასევე, დაზღვევის (არა სიცოცხლის) ლიცენზია და სხვა კომპანიების მსგავსად აფასებს რისკს შევიდეს თუ არ შევიდეს გაერთიანებული ლოტის სახით გამოცხადებულ ტენდერში.

შესაბამისად, მოპასუხის ქმედებით, მას ვერანაირად ვერ შეექმნება დომინანტური მდგომარეობა.

ამდენად, სააგენტოს შეფასებით, სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგის“ მიერ საჩივრის ფარგლებში სადავოდ გამხდარი, შპს „საქაერონავიგაციის“ მიერ შემუშავებული სატენდერო პირობები არ იწვევს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების დარღვევას.

თავი V. სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-6 მუხლის შესაბამისად, სააგენტომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. არ დადასტურდეს „შპს „საქაერონავიგაციის“ (ს/ნ 208144051) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების დარღვევა.
2. შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით, შპს „საქაერონავიგაციას“ მიეცეს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია.

რეკომენდაცია

შპს „საქაერონავიგაციის“ განმარტებით, სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ქონების, ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევის შესყიდვის ერთ ლოტად გამოცხადება დაიწყო 2015 წელს ჩატარებულ ბაზრის კვლევაზე დაყრდნობით, რა დროსაც გათვალისწინებულ იქნა „მასშტაბის ეკონომიის“ (Economies of Scale) პრინციპი - განხორციელდა სხვადასხვა სადაზღვევო მომსახურებების, როგორც ცალკე, ასევე, გაერთიანებული ფასის კვლევა და აღმოჩნდა, რომ სადაზღვევო მომსახურებების გაერთიანების შემთხვევაში, ფასი იყო ბევრად ნაკლები - თუმცა, მომდევნო წლებში მსგავსი კვლევა აღარ ჩატარებულა.

მიუხედავად იმისა, რომ რომ შესყიდვების კანონმდებლობა მოპასუხეს აძლევს უფლებას, ტენდერი გამოაცხადოს ერთგვაროვან ობიექტზე და ბაზარზე მოქმედ ყველა კომპანიას აქვს როგორც სიცოცხლის დაზღვევის, ასევე, დაზღვევის (არასიცოცხლის ლიცენზია) - მიზანშეწონილია, მოპასუხის მიერ ბაზრის შესწავლა განხორციელდეს გარკვეული პერიოდულობით, იმგვარად, რომ მოპასუხის მხრიდან ხელი შეეწყოს კონკურენციის უფრო მეტად განვითარებას. კერძოდ, მიზანშეწონილია, შპს „საქაერონავიგაციამ“ პერიოდულად განახორციელოს კვლევა სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ქონების, ჯანმრთელობის და სიცოცხლის დაზღვევის შესყიდვის ერთ ლოტად გამოცხადების დადებითი და უარყოფითი ფაქტორების და ფასების შესახებ, რადგან დროთა განმავლობაში ბაზარი განიცდის ცვლილებას - ეს კი თავისთავად აისახება მომსახურებების ფასებზეც.